# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 1 ივლისი 2005 №147 (2470) ფასი 50 თეთრი

# საქართველო საზიჟეთი



## კალაძე 2010

კახა კალაძემ „მილანთან“ 2010 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. ჩვენიანის ლონდონურ „ჩელსიში“ გადასვლა ერთი კვირის წინ გამოირიცხა და მაშინვე ცხადი იყო, რომ „მილანთან“ ხელშეკრულების გაფორმება დღეების ამბავილა იყო. იტალიურ-ინგლისური მოლაპარაკება კი, გავიხსენოთ, სატრანსფერო თანხაზე შეუთანხმებლობით ჩაიშალა.

კალაძემ გუშინ, კონტრაქტზე ხელმოწერისთანავე განაცხადა, რომ მილანში დარჩენას სულაც არ ნანობს: „კარგი იქნებოდა, „ჩელსისთან“ მოლაპარაკება არ ჩაშლილიყო, მაგრამ სანანებელი არაფერი მჭირს. გასულ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ისე ხშირად ველარ ვთამაშობდი, როგორც მინდოდა. ახალი კონტრაქტით კი ძალიან კმაყოფილი ვარ“.

## ევროპელი მეტოქეები ქართველებზე

ინტერვიუები ლევადიას და ბატეს მწვრთნელებთან

2-3



გუშინ სასამართლომ გამოძალვაში ბრალდებულ ცნობილ ძიუდოისტებს, ალექსი დავითაშვილს და გიორგი რევაზიშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ამას სასამართლოს დარბაზშივე დამსწრეთა დებოში მოჰყვა. ინციდენტი გვიან ღამით რუსთაველის პროსპექტზე გაგრძელდა. მოჭიდავეებმა მოძრაობა გადაკეტეს, ხელისუფლებამ კი მათ სამართალდამცავთა რაზმები დაუპირისპირა. დაკავებულია ოთხმოცამდე დემონსტრანტი.



# ჩემპიონთა ლიგა 2005–2006
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

# დინამო და სენტ გალენი 1:1

თბილისის „დინამომ“ გერმანული რუიტიდან შვეიცარიულ შაფჰაუზენში გადაინაცვლა და გუშინ იქ პირველი ამხანაგური მატჩიც გამართა. საქართველოს ჩემპიონი შვეიცარიის სუპერლიგის „სენტ გალენს“ გაეჯიბრა და ფრედ, 1:1 ითამაშა.

— ბიჭებმა თავი ბრძოლისუნარიანობით მომაწონეს. კმაყოფილი ვარ, რომ მთელი მატჩისას ბურთს ჩვენები აკონტროლებდნენ და თამაში მიჰყავდათ. სამწუხაროდ, მეტოქემ მცველების უხეში შეცდომით ისარგებლა და გაგვიტანა. ეს შეცდომა ჩვენთვის მაგალითი იქნება — თქვა ნამატჩევს „დინამოს“ თავკაცმა კახა ცხადაძემ.

„სენტ გალენმა“ „დინამოს“ მე-8 წუთზე გაუტანა. თბილისელებმა შეტევისას ბურთი დაკარგეს, შვეიცარიელმა პასკალმა უმისამართოდ დაარტყა, დინამოელი მცველები კი ელემენტარულ ვითარებაში უხეშად შეცდნენ, რითაც ერიჩმა ისარგებლა და თავისიანები დააწინაურა.

„დინამოს“ პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, ერიჩის გოლის შემდეგ „დინამოს“ უპირატესობა აშკარა იყო: სერგო ორბელაძეს და გია ნერგაძეს მეკარემ აუღებელი აუღო, რამდენჯერმე კი ჩვენებმა მიზანში ვერ მოარტყეს. „სენტ გალენის“ გოლი ლევან მელქაძემ 47-ე წუთზე გაქვითა. დავით ოდიკაძის ჩაწოდებულს მელქაძე ზუსტად დახვდა და ზუსტადვე დაარტყა. მატჩის ბოლოს კი ირაკლი ზოიძემაც იყოჩაღა, როცა მასპინძელი ფორვარდის დარტყმული ცხრიანიდან მოხსნა.

დინამო: ზოიძე, ალადაშვილი, ქემოკლიძე (გიგაური 46), ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე (გრიგალაშვილი 85), ნერგაძე (მახარაძე 79), ბაბუნაშვილი (ნავალოვსკი 77), ბობოხიძე (მეგრელაძე 61), მელქაძე (დვალიშვილი 61).

აქვე გავიხსენოთ, რომ „დინამოს“ მწვრთნელმა უცხოურ შეკრებაზე გამგზავრების წინ თქვა, „სენტ გალენთან“ და „გრასჰოპერთან“, სავარაუდოდ, ძირითადი შემადგენლობით ვითამაშებთო.

„დინამო“ შემდეგ მატჩს ხვალ, სწორედ „გრასჰოპერთან“ გამართავს. კვირას თბილისელები „შაფჰაუზენს“ შეხვდებიან და სამშაბათს შინ დაბრუნდებიან.

**კობა ინასარიძე**

# ქართული ბრენდი

**მარგუს ლიუიკი** *ტალინიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“*

**ტალინის „ლევადიას“** მწვრთნელ ტარმო რუუტლის გუშინ შევხვდი და მომავალ მეტოქეზე ერთი-ორი სიტყვა ვთხოვე. მწვრთნელს აშკარად ეტყობოდა, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრის შედეგით უკმაყოფილო იყო და ეს არც საუბრისას დაუმალავს: „თბილისის "დინამო" ძალიან ძლიერი მეტოქეა და ჩვენს წყვილშიც აშკარა ფავორიტად უნდა ჩავთვალოთ. „ლევადიასთვის“ განსაკუთრებით მძიმე იქნება საპასუხო მატჩი. თბილისში ახლა საკმაოდ ცხელა და თანაც „დინამოს“ ძალიან ემოციური ქომაგები გაამხნევებენ. თუმცა, რა თქმა უნდა, წარმატების შანსი ჩვენც გვექნება და ამის მაქსიმალურად გამოყენებას ვეცდებით. „ლევადია“ მეტოქეს პატივს სცემს, მაგრამ არ ეშინია. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით თბილისის „დინამოს“ ისტორია და ისიც ვიცით, რომ თავისი ვარსკვლავები დღევანდელ გუნდსაც ჰყავს. თბილისის „დინამო“ — ეს არის საუკეთესო ქართული ბრენდი და ასეთი გუნდის დამარცხება ჩვენთვის და მთლიანად ესტონური ფეხბურთისთვისაც დიდი მიღწევა იქნება“.

ტარმო რუუტლის არც ის დაუმალავს, რომ სადღეისოდ ტარტუს „მერკურის“ რამდენიმე ფეხბურთელზე აქვს თვალი დადგმული და „დინამოსთან“ მატჩამდე მათი გადაბირება სურს. თუმც, თუ ეს საქმე არ გამოუვიდა, დიდად არც იდარდებს, დღევანდელი „ლევადია“ ხომ ყველა რგოლში ისედაც კარგადაა დაკომპლექტებული. გუნდს დაუბრუნდა 18 წლის თავდამსხმელი ანდრეი ლარდინი, რომელმაც ახლახან „მოსკვასთან“ ამხანაგურ მატჩში ითამაშა კიდეც. „ლევადიაში“ გასინჯვაზე იყო ლატვიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ევგენიუს კასანოვსი, მაგრამ მან რუუტლის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. ყველაზე სამწუხარო კი გუნდისთვის მცველ დიმიტრი კრუგლოვის დაკარგვა უნდა იყოს — გეცოდინებათ, ის მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდა.

„ლევადიას“ წამყვან ფეხბურთელებად შეგიძლიათ ჩათვალოთ მცველი სერგეი ხოხლოვ-სიმსონი, ვინც თავის დროზე ესტონეთის ნაკრების კაპიტანი იყო; მისი პარტნიორი დაცვაში, ლიტველი ვიტოლდას სეპაუსკასი (იგი ტვინის შერყევის შემდეგ გუნდს ახლახან დაუბრუნდა) და მეკარე არტურ კოტენკო, რომელიც ტრავმირებული მარტ პოომის არყოფნისას ეროვნული გუნდის ძირითადი მეკარეა.

ტარმო რუუტლი გუნდს მეტწილად 4-3-3 და 4-4-2 ტაქტიკური სქემით ათამაშებს და აქედან გამომდინარე შემადგენლობასაც ცვლის ხოლმე. თუმც ნახევარდაცვის ცენტრში სხვებზე ხშირად კონსტანტინ ნაჰკი და პერსპექტიული კონსტანტინ ვასილიევი თამაშობენ. დრიბლინგებით და შორეული დარტყმებით ძალიან სახიფათოა ლიტველი მარიუს დოვიდენასი. მას თითქმის ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში. გუნდს ორთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა საყრდენი ნახევარმცველი ალექსანდრ დმიტრიევი, თუმც ჩვეული ფორმის აღსადგენად დრო დასჭირდება.

„ლევადიას“ მცირე პრობლემები აქვს თავდასხმაში. ვეტერანი ინდრეკ ზელინსკი ტრავმებმა დატანჯა, „ლევადიას“ ზამთრის შენაძენი, ლიტველი მარტინას კარალიუსი კი არასტაბილურია. ამიტომაც რუუტლი ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ენდობა ახალგაზრდებს: 17 წლის ტყუპები ეინო და სანდერ პურიები, ტაიკო ტენისტე, 19 წლის მიროსლავ როოლკევიტი და 18 წლის ალექსანდრ რულკოვი ამ სეზონში ხშირად თამაშობენ ძირითად შემადგენლობაში. ნელ-ნელა საუკეთესო ფორმას იბრუნებს ძალიან პერსპექტიული თავდამსხმელი, ესტონეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ატს პურიე, მან ავადმყოფობის გამო თითქმის წელიწადი გამოტოვა. ასე რომ, „ლევადიას“ თავდასხმაში მაინც დიდი არჩევანი აქვს, თუმც შემტევთაგან ყველა ჭაბუკაა.




*თბილისის „დინამოს“ ევრომეტოქემ, ტალინის „ლევადიამ“ ორი დღის წინ მოსკოვში „მოსკვასთან“ ამხანაგური მატჩი გამართა და 0:1 დამარცხდა. ტალინელთა მწვრთნელის ტარმო რუუტლის თქმით, ეს შეხვედრა „დინამოსთან“ თამაშის წინა რეპეტიცია იყო და მან ფეხბურთელთა მზადყოფნა ერთხელაც შეამოწმა. ამ მატჩს კი „დინამოს“ თავკაცი კახა ცხადაძეც დაესწრო, რომელიც მოსკოვში გერმანიიდან საგანგებოდ ჩაფრინდა...*

# მაღალი და ძლიერი
## ცხადაძემ ლევადია ნახა



— კმაყოფილი ვარ, რასაც ველოდი, ის ინფორმაცია მივიღე. ერთხელაც დავრწმუნდი, რომ „ლევადია“ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის და ესტონელებთან სრული მობილიზებით უნდა ვითამაშოთ.

— არ ფიქრობთ, რომ კოლეგამ რაღაც-რაღაცები დაგიმალათ?

— ყოველ შემთხვევაში, რისი ნახვაც და გაგებაც მსურდა, ის ვნახე და გავიგე. „ლევადიამ“ კი ძირითადი შემადგენლობით ითამაშა.

— და რას გვეტყვით მეტოქეზე, რა გუნდია „ლევადია“?

— ტიპიურ ჩრდილოურ ფეხბურთს თამაშობს. ტალინელებს საკმაოდ ტანმაღალი ფეხბურთელები ჰყავთ და ფიზიკურად ძლიერად მომზადებული გუნდია. რა თქმა უნდა, „ლევადიას“ ნაკლიც საკმაოდ აქვს და ეს საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ.

— განსაკუთრებით რომელი ფეხბურთელი მოგეწონათ?

— მეკარე კოტენკო, რომელმაც თითქმის უშეცდომოდ ითამაშა. მან რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი, თორემ „მოსკვა“ დიდი ანგარიშით მოგებასაც შეძლებდა.

— ამ მატჩის შემდეგ შეგიძლიათ თქვათ, რომ „ლევადიასთან“ „დინამო“ ფავორიტია?

— არა, შანსები თანაბარია. ნაკლის გარდა „ლევადიას“ ბევრი დადებითიც აქვს და ამ გუნდთან მოდუნება არ შეიძლება, საკმაოდ ორგანიზებულად თამაშობს.

**კობა ინასარიძე**

ფეხბურთის კლუბი „ცხინვალი“ თანაგრძნობას უცხადებს
ალექსანდრე და გიორგი კაიდარაშვილებს
მამის
გია კაიდარაშვილის
გარდაცვალების გამო

### ისლანდია

**პრემიერლიგის IX ტური**

ჰაფნარფიორდური 3:1 ფრამი
თროტური 0:2 ვალიური
კიფლავიკი 1:1 ბრინდავიკი

### ნორვეგია

**თასის მერვედფინალი**

რუსენბორგი 1:2 *კონგსვინგერი*
სტარტი 1:1 (დ.დ.2:3) *ვოლერენგა*
ვიკინგი 0:2 *ლილესტრიომი*

### შვედეთი

**თასის მერვედფინალი**

*ატვიდაბერგი* 1:0 ტრელებორგი
*კაკანი* 0:0 (პენ.4:3) მალმიო

*სადღეისოდ ბატე ქუთაისის „ტორპედოსთან" ფავორიტად თუ არა, აუტსაიდერად ნაღდად არ ითვლება. გეცოდინებათ, ქუთათურებს სწორედ ბელარუსის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი დაეჯახათ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე.*

*ქართველებისთვის ბატე უცხო გუნდი არაა, მაგრამ უცნობია მისი თავკაცი იგორ კრიუშენკო. მან გასული სეზონის დასრულებისთანავე იური პუნტუსი შეცვალა ამ პოსტზე, დღეს კი „სარბიელის" კითხვებს პასუხობს. ვნახოთ, როგორ იცნობს კრიუშენკო „ტორპედოს"...*

# ბატე ტორპედოს ვერცხლით იცნობს



— მეტოქეზე მხოლოდ ის ვიცი, რომ საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია და სეზონის შემდეგ სამი წამყვანი ფეხბურთელი — მეკარე, ნახევარმცველი და საუკეთესო თავდამსხმელი გამოაკლდა. ისე, ერთი ტორპედოელის გვარიც კი არ ვიცი.

**— ალბათ, „ტორპედოს" რომელიმე თამაშის ფირს ელით...**

— რა თქმა უნდა, ველით. სხვანაირად, ზედაპირული ინფორმაციებით ძალიან გაგვიძნელდება, მით უმეტეს, პირველ თამაშში. თბილისის „დინამო" კი შეხვედრია ორჯერ ბატე-ს, მაგრამ „დინამო" სხვაა და „ტორპედო" სხვა. ასე რომ, ვერ ვიტყვი, კენჭისყრამ გაგვიმართლაო... თუმცა შანსებს თანაბრად ვაფასებ.

**— საერთოდ, ქართულ ფეხბურთს საბჭოეთის დროიდან უნდა იცნობდეთ, „ტორპედოს" მწვრთნელ ოთარ გაბელიას მინდორზე თუ შეხვედრიხართ?**

— არა. გაბელია „დინამოში" რომ იყო, მე მინსკის „დინამოს" დუბლებში ვთამაშობდი. ქართული ფეხბურთი? ეს ვის არ მოსწონს: სწრაფი, მაღალტექნიკური, ნიჭიერი მოთამაშეები...

**— სეზონის წინ ბატე-დან ბევრი ფეხბურთელი წავიდა და მათი შემცვლელები თუ გყავთ?**

— არიან ნიჭიერი ფეხბურთელები. ისე, მეკარე ჟევნოვის და ნახევარმცველების — შკაბარასა და სტრახანოვიჩის წასვლა ნამდვილად დაეტყო გუნდს, მაგრამ დუბლშემადგენლობიდან გადმოვიყვანეთ ბიჭები.

**— ბატე-ს ძლიერი რგოლი რომელია და ვინაა გუნდის ლიდერი?**

— ყველა ხაზი თანაბრადაა დაკომპლექტებული. ლიდერზე რა ვთქვა, მაგრამ ფორვარდი პაველ ბეგანსკი მაინც უნდა გამოვყო. მან მიმდინარე სეზონში ექვსი გოლი გაიტანა და „გოლი+პასის" ნომინაციაში ბელარუსის ჩემპიონატში პირველ ადგილზეა.

**— დღეს თუ გყავთ ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც ყოფილი ბატელის, ვიტალი კუტუზოვის დარი პოტენციალი აქვს?**

— არა. ჩემი აზრით, კუტუზოვისნაირი ტალანტი არც ერთ ბელარუსულ კლუბს არ ჰყავს.

**— ბელარუსის ნაკრებს მუნდიაზე გასვლის შანსი აქვს, იტალიასაც კი ტოლ-სწორად ეთამაშა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ჩემპიონატის დონე ამაღლდა?**

— ნაწილობრივ, თუმცალა ნაკრების 90 პროცენტს ლეგიონერები შეადგენენ. კუტუზოვი, გლები... რუსეთსა და უკრაინაშიც გვყავს „დესანტი", თანაც ნაკრებს ძლიერი მწვრთნელი თავკაცობს. თუ არ ვცდები, საქართველოშიც ასეა: კარგი ლეგიონერები გყავთ, კლუბები კი მოისუსტებენ.

**— ბატე ამ სეზონში მეხუთე ადგილზეა, არადა, წინა წლებში სულ ლიდერებში იყავით. გუნდში კრიზისი ხომ არაა?**

— მართალი ხართ, უფრო კარგი შედეგი მოგვეთხოვება. ისე, ბელარუსის ჩემპიონატში წლეულს რომ კონკურენციაა, ასეთი აქამდე არ ყოფილა, შვიდი-რვა გუნდი თანაბარი ძალისაა.

**— უეფას თასზე რა მიზანს ისახავთ?**

— ჯერ „ტორპედოზე" ვფიქრობთ, დანარჩენი მერე გამოჩნდება.

**— „ტორპედოსთან" მატჩამდე ფეხბურთელების დამატებას ხომ არ აპირებთ?**

— წინასწარ ვერ ვიტყვი. ისე, არა მგონია, ასე მოხდეს...

**— თქვენს წყვილში სტუმარ-მასპინძელი შეიცვალა. მეორე მატჩს შინ თამაშობთ, მანამდე კი ქუთაისის ნაცვლად თბილისში მოგიწევთ სტუმრობა. ამას უპირატესობად თუ თვლით?**

— ამ მხრივ მართლაც გაგვიმართლა. ვფიქრობ, ჩემ ადგილზე ნებისმიერი მწვრთნელი ასე გეტყოდათ. თანაც ძალიან კარგი გულშემატკივრები გვყავს, საპასუხო მატჩში მათი მხარდაჭერაც დიდი უპირატესობა იქნება...

**ილია ნანოგაშვილი**

# ფრაიბურგი ტკბილი წარსულია

## ლევან ცქიტიშვილმა დონეცკში დონე დაინახა

დონეცკის „მეტალურგმა" მომავალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო და, ცხადია, გუნდთან ერთად არიან გიორგი დემეტრაძე და ლევან ცქიტიშვილი. „ცქიტოს" გადონეცკელება ჯერჯერობით ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან ტრანსფერად ითვლება უკრაინაში. ახლა „დემე" მარტო არ იქნება და იმედია, თანამემამულის მისვლის შემდეგ უფრო მოუხშირებს გოლების გატანასო, წერენ დონეცკელი ჟურნალისტები.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს „მეტალურგში" ყველაფერი მოსწონს, ქალაქიც კარგია და პარტნიორებიც. მართალია, ერთი-ორი დღეა, რაც გავიცანი, მაგრამ ეტყობათ, რომ მაღალი დონის ფეხბურთელები არიანო.



„დონეცკში გადმოსვლა უცებ არ გადამიწყვეტია. დემეტრაძესა და ჯამარაულს გამოვკითხე ამბები და დღეს ვხედები, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. „მეტალურგი" არცთუ დიდი ხნის წინ შეიქმნა, მაგრამ მალევე უკრაინაში ერთ-ერთი საუკეთესო გახდა, დინამიურად ვითარდება და მუდმივად გადის ევროტურნირებზე" — ლევანი იმასაც დასძენს, რომ მშვენიერი პირობები აქვს, ანაზღაურებაც ნორმალურია და ახლა ბინასაც ველოდები, რათა მეუღლე და ბავშვები ჩამოვიყვანოო.

სეზონის დამთავრების მერე ცქიტიშვილი ლევან კობიაშვილთან და ალექსანდრე იაშვილთან ერთად იტალიურ კურორტ რიმინიში ისვენებდა. „მეტალურგის" დებიუტანტს ფრაიბურგიდან სასიამოვნო მოგონებები წამოჰყვა. „უკლასო გუნდი ბუნდესლიგაში მრავალ წელს ვერ გაძლებს, „ფრაიმ" კი ერთხელ უეფას თასზეც კი გააღწია. იაშვილთან და ხიზანეიშვილთან განშორება გამიძნელდა, მაგრამ ფრაიბურგიდან ჩემი წამოსვლა დროული იყო".

ლევანი ბუნდესლიგაში მოთამაშე თანაამპლუელებზე ასეთი აზრისაა: „ყველაზე მეტად ბაიერნელი მიხაელ ბალაკი და ვერდერელი ფაბიან ერნსტი მომწონს, მათ გვერდით დავაყენებდი ლევან კობიაშვილსაც".

ჩვენი მხრივ კი გეტყვით, რომ დონეცკის „მეტალურგს" ძველი ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ალექსანდრ სევიდოვი.

**ილია ნანოგაშვილი**

# აქვსენტი გილაური: საუკეთესო ქართველი სპარსეთში

**ირანის** ჩემპიონატი, სადაც სამი ქართველი თამაშობდა, რამდენიმე დღის წინ დასრულდა. აქვსენტი გილაურის „ესტეგლალი" მესამე ადგილზე გავიდა, არჩილ სახვაძის „საბა ბატერი" მეცხრეზე, ხოლო ჯაბა მუჯირის „სეპაჰანი" მეათეზე. შეგახსენებთ, რომ სპარსული ლიგა თექვსმეტგუნდიანია.



მუჯირს კონტრაქტი დაუმთავრდა „სეპაჰანთან", თუმც, როგორც თავად გვითხრა, კლუბი ხელშეკრულების გაგრძელებას სთავაზობს და ალბათ ირანში მესამე სეზონსაც ითამაშებს.

„საბაში" აღარ აპირებს დარჩენას სახვაძე — მას ირანში თამაში აღარ უნდა. რაც შეეხება გილაურს, მუჯირმა გვითხრა, რომ მან ძალიან ძლიერად ითამაშა განვლილ სეზონში, სულ ძირითადში იყო და ირანის ყველაზე ტრადიციული გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე გახლდათო.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ვითომ მარტო უიღბლობა?

## ოთარ მარცვალაძე: რეალობა მხოლოდ ვიტ ჯორჯიაა

**ქართული** კლუბები ევროტურნირებზე როგორ „ჰკახარუბენ", კარგად იცით. ჩაგრულთა შორის ჩაგრული კი, ალბათ, თბილისური „ვიტ ჯორჯიაა". ვეტერინარებმა ორივე თამაში წააგეს უნგრეთის ჩემპიონატის მეთოთხმეტეადგილოსან „ლომბარდ პაპასთან"...

ვიტელთა ფორვარდი ოთარ მარცვალაძე კი „ლომბარდ პაპასთან" მარცხს ორ ახსნას უძებნის — უიღბლობა და შეუთამაშებლობა.

„გარედან ალბათ ისე ჩანდა, რომ უნგრელები ჩვენზე ძლიერები იყვნენ. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ მარტო შედეგში არაა საქმე. იყო ისეთი მომენტები, როცა გოლის გატანა უეჭველად გვმართებდა. შეუთამაშებლები ვიყავით, სეზონის დასრულების მერე რამდენიმე დღეღა დავისვენეთ და კარგად მომზადებისთვის დრო აღარ დაგვრჩა" — ამბობს მარცვალაძე.

„ვიტ ჯორჯია" არა მარტო [illegible] როპოდ, საქართველოს ჩემპიონატშიც კი ძალიან [illegible] ნდმა წინა სეზონის მეორე [illegible] საშინლად ჩაატარა. „წაგებების [illegible] ნსაკუთრებულ მიზეზებს [illegible] ძებნ. გუნდში ერთსულოვნება [illegible] ედია, მომავალ სეზონში [illegible] მებს უკან მოვიტოვებთ. [illegible] ვრიცხავ, შარშანწინდელი [illegible] პიონობისთვისაც ვიბრძოლებთ" — მარცვალაძე ისე ლაპარაკობს, [illegible] გაისადაც „ვიტ ჯორჯიაში" დარჩენა გადაუწყვეტია.

არადა, ამ ცოტა ხნის წინ ლაპარაკი იყო, ოთარი თბილისის „ლოკომოტივში" გადადის, მაგრამ თავად ფეხბურთელი ამას უარყოფს. პირველად მესმისო. მარცვალაძე არ მარჩიელობს, რეალური წინადადება არც ერთი გუნდისგან არ მიუღია და ტყუილად ფიქრის რა აზრი აქვსო...

**ილია ნანოგაშვილი**



ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# დინამო ჩემპიონთა ლიგაში?

## უეფას ეს არ ესიამოვნებოდა

*წლეულს თბილისის „დინამო" ერთხელაც ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში თამაშის საუკეთესო შანსი კი „დინამოს" დღემდე 1998 წელს ჰქონდა, როცა ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე ესპანეთის პრემერადივიზიონის მეორეადგილოსანს, ლუის ფერნანდესის გაწვრთნილ ბილბაოს „ატლეტიკს" გადაეყარა.*

*„დინამოს" მაშინ მურთაზ ხურცილავა წვრთნიდა და სანამ „ატლეტიკს" შეხვდებოდა, ალბანური „ვლაჟნია" უნდა დაემარცხებინა. დინამოელებმა შინ 1:0 იმარჯვეს, მაგრამ ვლაჟნიელებმა ისეთი ფეხბურთელი ათამაშეს, სამატჩო ოქმში რომ არ ჰყავდათ შეყვანილი და უეფამ ტექნიკური წაგება, 0:3 გამოუწერა. საპასუხო შეხვედრაში „დინამო" 1:3 დამარცხდა და ვილას ჯეროდა, რომ ბასკებს დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა, თუმცა სხვაგვარად კი მოხდა. ერთი სიტყვით, შვიდი წლისწინანდელ ამბავს ხურცილავა იხსენებს...*

***დავით თავართქილაძე***



სარბიელის არქივიდან

**ალბანელებთან** სტუმრად 1:3 რომ წავაგეთ, ეს უფრო იმის ბრალი იყო, რომ პირველი მატჩის შემდეგ 3:0-ს ვიგებდით. სხვათა შორის, ალბანელებმა ბოლო ორი გოლი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაგვიტანეს.

ბასკებთან მატჩისთვის ჩვეულებრივად ვემზადებოდით, ისე, როგორც ნებისმიერი თამაშისთვის, ოღონდ, სხვა მატჩებთან შედარებით, გაცილებით მეტ დროს ვუთმობდი თეორიულ მეცადინეობებს. „ატლეტიკზე", მის თითოეულ ფეხბურთელზე თითქმის ყველაფერი ვიცოდით.

ხშირად უკითხავთ, თუ რის ხარჯზე მოვუგეთ თბილისში „ატლეტიკს". ჯერ ეს ერთი, მაშინდელი „დინამო" ახლანდელზე უკეთესი იყო შემადგენლობით, მაგრამ მთავარი მაინც ფეხბურთელთა თავდადება იყო.

„ატლეტიკის" მატჩების კასეტებს დღე და ღამე ვატრიალებდით, ფეხბურთელებსაც ვაყურებინებდი და ვარწმუნებდი მათ, რომ ამ გუნდთან თამაში და მოგება შეიძლებოდა.

თბილისურ მატჩზე ბევრი ხალხი მოვიდა, მაგრამ სტადიონი ბოლომდე არ გავსებულა, ალბათ ხალხს მაინცდამაინც არ სჯეროდა „დინამოს" გამარჯვების, ქართული გუნდები ხომ მაშინაც წარუმატებლად გამოდიოდნენ ევროტურნირებზე.

მთავარი ფეხბურთელთა თავდადება კი იყო, თუმც, ვფიქრობ, ტაქტიკაც სწორად ავირჩიეთ. მიხეილ აშვეთია თავდასხმიდან ცოტა უკან დავხიეთ და მარცხენა ფლანგისკენ გავწიეთ, რამაც გაამართლა, აშვეთიამ მართლაც ძლიერად ითამაშა, თუმც სამდურავი არც ერთ ფეხბურთელზე არ მეთქმის, ყველამ კარგად ჩაატარა ის მატჩი.

რაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ვატარებთ, ქართულ გუნდს ასეთი ძლიერი მეტოქისთვის ჯერ არ მოუგია. „ატლეტიკს" პირველი თამაში მოვუგეთ და ჩემპიონთა ლიგასთან ძალიან ახლოს ვიყავით.

პირველი ტაიმი 2:0 მოვიგეთ, ლევან ხომერიკმა და ლევან ცქიტიშვილმა საკმაოდ ეფექტური გოლები გაიტანეს. კიდევ უნდა შეგვეგდო, მაგრამ ორჯერ ძელს გავარტყით ბურთი. მოკლედ, თამაში ჩვენი იყო.

პირველი ტაიმის შემდეგ ყველანი კმაყოფილნი ვიყავით — გულშემატკივრები, ფეხბურთელები და მეც, მაგრამ შესვენებაზე გუნდისთვის არ მითქვამს, ანგარიშის შენარჩუნებაზე ითამაშეთ-მეთქი, კვლავ გვინდოდა გოლის გატანა, რადგან ბილბაოში კიდევ უფრო ძნელი მატჩი გველოდა.

მეორე ტაიმში მეტოქემ მძლავრად შემოგვიტია და გოლიც გაგვიტანა. „ბილბაოს" ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავდა, მაგალითად, იულენ გერერო, ბიტორ ალკისა და ხოსება ეჩებერია, მაგრამ ბასკები შეტევაში ყველაზე უფრო ტანმაღალ ისმაელ ურსაისზე აწყობდნენ თამაშს — ის თავით თითქმის ყველა ბურთს იგებდა, მაგრამ როცა ჩვენი კარიდან მოშორებით იდგა, მის მოგებულ თაურებს „ატლეტიკისთვის" ხეირი არ მოჰქონდა, რადგან მისი თავიდან გადმოვარდნილ ბურთზე ჩვენ კარგად ვიბრძოდით. სულ სხვა იყო სტანდარტული სიტუაციები. ასეთ შემთხვევებში ურსაისის წინაც ვაყენებდით მცველს — როცა მცველი ფორვარდის წინ დგას, საჰაერო ბურთის მოგების ნაკლები შანსი აქვს, მაგრამ როცა ბურთზე ხტება, ფორვარდი ბურთს კარგად ველარ უყურებს და ზუსტად დარტყმა უძნელდება. მოკლედ, ასე თუ ისე, ურსაისი ამოვკეტეთ.

მატჩის მიწურულს კი მესამე გოლის გატანის ჩინებული შანსი გვქონდა. ხომერიკი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მასთან მიახლოებას დარტყმა არჩია — „ატლეტიკის" გოლკიპერმა შორეული, დაბალი კუთხისკენ გაგზავნილი ბურთი მოიგერია. როცა ფორვარდი ასეთ სიტუაციაშია, აუცილებლად უნდა მიუახლოვდეს მეკარეს. ხომერიკს ბილბაოელი მცველი მისდევდა, მაგრამ როცა მეტოქის საჯარიმო მოედანში ხარ და ფორვარდი გქვია, თავს ისე უნდა გრძნობდე, როგორც თევზი წყალში. მცველი ამ დროს ფრთხილობს, პენალტის აკიდების ეშინია. ხომერიკიც უნდა მიახლოებოდა მეკარეს, მაგრამ...

ბილბაოში რატი ალექსიძე გამოგვაკლდა, მან თბილისში კიდევ ერთი ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებული იყო. თამაშამდე ლაპარაკი იყო, უეფას არ აწყობს ღარიბი ქვეყნის კლუბის მოხვედრა ჩემპიონთა ლიგაშიო. სხვათა შორის, თამაშის წინ უეფას წარმომადგენელმა „დინამოს" ერთ-ერთ მესვეურს უთხრა, არ დაგვლუპოთ, „ატლეტიკი" არ გააგდოთო. ვერ გეტყვით, ეს ხუმრობით იყო ნათქვამი თუ არა, მაგრამ ორი აზრი აღარ არსებობდა — უეფას ჩვენი ჩემპიონთა ლიგაში გასვლა არ ესიამოვნებოდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დავით მუჯირი გაგვიგდეს — უბრალო ჯარიმა იყო, მაგრამ მსაჯმა მუჯირს წითელი ბარათი ამოუღო. წაგების მსაჯებზე დაბრალება არ მჩვევია, თუმც არბიტრს აშკარად ეტყობოდა, რომ ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო.

ფაქტობრივად, მთელი ტაიმი კაცნაკლულებმა ვითამაშეთ. წავაგეთ, მაგრამ მოსაგები თამაში იყო, რადგან ჩვენ უფრო მეტი სახიფათო მომენტი შევქმენით. 0:1-ზე გიორგი კიკნაძემ ისეთი შანსი გაუშვა ხელიდან, რომ საოცარია, როგორ ვერ გაიტანა — ახლოდან ბურთი მაინცდამაინც მეკარეს გაარტყა, თან შუბლში, უბრალოდ, ჭვინტი რომ წაეკრა ბურთისთვის და ის მეკარისგან განზე გაეშვა, გოლი იყო. რა გაეწყობა, ფეხბურთში ასეთები მომხდარა?!

ამის შემდეგ უეფას თასზე გადავინაცვლეთ, სადაც ჰოლანდიურ „ვილემ II"-თან ორივე მატჩი 0:3 წავაგეთ. ასეა, ფეხურთში არცთუ იშვიათად ხდება გაუგებარი და გაუთვალისწინებელი რამეები. „ბილბაოსთან" რომ ვითამაშეთ, ჰოლანდიელებთან იმის ნახევარიც ვერ ვაჩვენეთ, ფეხბურთელებმა ალბათ „ბილბაოს" შეალიეს ყველაფერი.

რაც შეეხება მაშინდელ პირობებს „დინამოში", ახლა ასეთ ხელფას-პრემიებზე „დინამოდან" ფეხბურთელები გარბიან. იმ დროს „დინამოში" ხელფასები გვიანდებოდა, პატარ-პატარა ფინანსური პრობლემები იყო, მაგრამ ფეხბურთელები მხოლოდ ფულზე კი არა, ფეხბურთზეც ფიქრობდნენ და „ატლეტიკს" შინ რომ მოვუგეთ, ამ ფაქტორმაც დიდი როლი ითამაშა.

**დინამო 2:1 ატლეტიკი**

1:0 ხომერიკი (15), 2:0 ცქიტიშვილი (30), 2:1 იმასი (47)
**დინამო:** გვარამაძე, დიდავა, გუჩუა, ჯელაძე, ი. მახარაძე, კიკნაძე, ალექსიძე, მუჯირი (მელქაძე 87), ცქიტიშვილი, ხომერიკი (გ. შენგელია 90), აშვეთია
**მწვრთნელი:** მურთაზ ხურცილავა
**ატლეტიკი:** ი. ეჩებერია, ფერეირა, კარლოს გარსია, ლარასაბალი, ერნანდესი, ურუტია (ნაგორე 69), იმასი, ალკისა, ხავი გონსალესი (გერერო 83), ესკერო, ურსაისი (ხ. ეჩებერია 65)
**მწვრთნელი:** ლუის ფერნანდესი
**გაფრთხილება:** ფერეირა, ი. მახარაძე, ალექსიძე, ალკისა
**მსაჯი:** რ. პედერსენი (ნორვეგია)

**ატლეტიკი 1:0 დინამო**

1:0 ხ. ეჩებერია (54)
**ატლეტიკი:** ი. ეჩებერია, ალკორტა, იმასი, ლარასაბალი, ლაკრუსი, კარლოს გარსია, გერერო, ალკისა (ხოსე მარი 88), ესკერო, ურსაისი (ხორხე პერესი 88), ხ. ეჩებერია (ხავი გონსალესი 84)
**მწვრთნელი:** ლუის ფერნანდესი
**დინამო:** გვარამაძე, ჯელაძე, დიდავა, ი. მახარაძე, კობიაშვილი, გუჩუა, ცქიტიშვილი, კიკნაძე, მუჯირი, აშვეთია (მელქაძე 55), ხომერიკი
**მწვრთნელი:** მურთაზ ხურცილავა
**გაფრთხილება:** მუჯირი (28), ალკისა (75), გუჩუა (88), კობიაშვილი (90)
**გაძევება:** მუჯირი (52)
**მსაჯი:** ლ. ვაგნერი (უნგრეთი)



ლევან ხომერიკის ამ თავურს ლევან ცქიტიშვილის გოლი მოჰყვა

# მიდი და გაიგე საიდუმლო გამოცანა



კარლო ანჩელოტის
ერნან კრესპო შესაძლოა, გაექცეს

**ერნან კრესპოსა** და ალბერტო ჯილარდინოს სატრანსფერო საქმეები ისე ჩაიხლართა, რომ ეშმაკიც ვერ გაარკვევს.

არგენტინელ ფორვარდს გუშინ „მილანში" ყოფნის ვადა ამოეწურა, რადგან ის „ჩელსიდან" ერთი წლით იყო განათხოვრებული. ორი კლუბი მთელი ივნისის განმავლობაში ვერ მორიგდა ამ ფეხბურთელის თაობაზე. „მილანს" და „ჩელსის" უნდათ კრესპოც და ჯილარდინოც. არგენტინელი ლონდონში დაბრუნებას უარობს, „პარმა" კი თავის მეგოლეს 25 მილიონ ევროს აფასებს. ამდენი ფულის გადახდას არც ბერლუსკონი აპირებდა და არც აბრამოვიჩი. ახლა, როცა 30 ივნისი გაილია და ერნან კრესპოს ლონდონში ჩასვლა უწევს, ბერლუსკონიც და აბრამოვიჩიც სხვაგვარად ალაპარაკდნენ. იტალიური მედიის ცნობით, „მილანის" პრეზიდენტს რამდენიმე მოთამაშის გაყიდვა გადაუწყვეტია, რომ ჯილარდინოს საყიდლად ფული მოაგროვოს. გასაყიდთა შორის არიან: მარკო დონადელი, კრისტიან აბიატი, იონ დალ ტომასონი და კახა კალაძე. სწორედ ამ ფეხბურთელთა გასხვისების შემდეგ მიადგება ფულით ხელდამშვენებული სილვიო ბერლუსკონი „პარმასო", ვარაუდობენ იტალიელები.

თავის მხრივ, ინგლისელები ამტკიცებენ, რომ რომან აბრამოვიჩი მზადაა, იძლენი გადაიხადოს ალბერტო ჯილარდინოს სანაცვლოდ, რამდენსაც „პარმა" ითხოვს. ერნან კრესპოს უარით გაოგნებულმა „ჩელსიმ" ოფიციალურად იკითხა: „ის ჩვენი ფეხბურთელია და რატომ არ უნდა დაბრუნდეს?" ლონდონური კლუბი არ გამორიცხავს, რომ განჯიუტების შემთხვევაში კრესპოს უჩივლებენ და დესერტად გვარიან ჯარიმასაც აკრავენ. არგენტინელის აგენტმაც დაიფიცა, ჩემს კლიენტს „მილანი" ისე შეუყვარდა, აქედან მისი წასვლა საცოდაობა იქნებაო.

მიუხედავად ყველაფრისა, დღეს ერნან კრესპო ლონდონში ჩავა და თავის ნაღდ პატრონს შეხვდება, რათა თავისი მომავალი გაარკვიოს.

„ჩელსიმ" ალბერტო ჯილარდინო ან სხვა ფორვარდი თუ ვერ იყიდა, იძულებული გახდება, ერნან კრესპო იახლოს. ქეჲს ივლისს „ჩელსი" შეკრებას იწყებს და ჟოზე მაურინიოს ყველა ფეხბურთელი სჭირდება.

**ბაჩა ხუციშვილი**

# სიკვდილი გლეიზერს!

## ბრაიანს, ჯოს და ავის ავად დახვდნენ



ჯო და ბრაიან გლეიზერები...



...მამა მალკოლმის ხუმტურებმა აზარალეს

**მალკოლმ გლეიზერის** სამი ვაჟი „მანჩესტერ იუნაიტედის" განრისხებულ ფანებს ძლივს გადაურჩნენ. ინგლისში ჩასული ბრაიან, ჯო და ავი გლეიზერები გუშინწინ „ოლდ ტრეფორდის" დასათვალიერებლად მიბრძანდნენ, სტადიონზე შევიდნენ და იქ დაახლოებით ოთხი საათი იყურყუტეს, რადგან „ოლ ტრეფორდის" კართან ორასამდე გაავებული გულშემატკივარი ელოდებოდათ. „სიკვდილი გლეიზერს" — გაჰკიოდნენ ქომაგები.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ახალი პატრონის შვილთა დასახმარებლად პოლიცია მივიდა. ხალხის დასაშლელად მათ ხელკეტების ტრიალი დასჭირდათ. შეშინებული ძმები ფურგონში ჩასვეს, სტადიონიდან გააქციეს, გულშემატკივრებმა კი ავტომობილს ბოთლები და აგურები დაუშინეს.

შონ ბოუნზი, „მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგი: „ფანებს გლეიზერები ეზიზღებათ, ისინი მტრად მიაჩნიათ. საპროტესტო აქციებს კიდევ გავაგრძელებთ. გლეიზერები შეხვდნენ ყველას, მათ შორის სპორტის მინისტრსაც, მაგრამ ჩვენთან მოსვლა არ იკადრეს, არადა გულშემატკივრები „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" უმნიშვნელოვანესია".

მარკ ლონგდენი მანჩესტერელ ქომაგთა ასოციაციის წევრი: „ვგინდოდა, გლეიზერები გვეიძულებინა, ჩვენთვის თვალებში ჩაეხედათ. ეს მშვიდობიანი პროტესტი იყო".

ფანები საინვესტიციო ფონდის შექმნას აპირებენ, რათა შეგროვილი თანხით კლუბის აქციები იყიდონ, თუკი მალკოლმ გლეიზერი მათ ოდესმე გასაყიდად გამოიტანს. მათ 2 მილიონ გირვანქამდე უკვე შეაგროვეს და სუვენირების წარმოება დაიწყეს, რომელსაც „ნამდვილი იუნაიტედი" ჰქვია. ამ მხრივ გლეიზერს შემოსავლების წყაროს ნაწილობრივ შეუზღუდავენ.

შეგახსენებთ, რომ მალკოლმ გლეიზერმა კლუბის აქციათა 98 პროცენტი შეიძინა და ეს უკვე სრულ კონტროლს ნიშნავს. ამერიკელი საქმოსანი 2010 წლისთვის „მანჩესტერ იუნაიტედის" ბიუჯეტის 52 პროცენტით გაზრდას ვარაუდობს, რაც წლიურად 246 მილიონ გირვანქას შეადგენს. ფანობა ამ პროექტს ეჭვის თვალით უყურებს, რადგან გლეიზერი ბილეთებზე ფასს გააძვირებს, გულშემატკივრის ჯიბე კი შეთხელდება.

**ბაჩა ხუციშვილი**





„იუვენტუსის" შეფებს დავიდ ტრეზეგეს შემცვლელად კრისტიან ვიერი მიაჩნიათ

# უფასო ვიერი და ძვირი ტრეზეგე

## იუვეს კოჭი ალჩუზე უჯდება

**„იუვენტუსი"** მზადაა დავიდ ტრეზეგე „ჩელსის" მიჰყიდოს, სანაცვლოდ კი „ინტერიდან" კრისტიან ვიერი აიყვანოს — ბოლო პერიოდში გავრცელებული ცნობების თანახმად ვიერი კარიერის ხუთწლიან „შავ-ლურჯ" პერიოდს ამ ზაფხულს დაამთავრებს.

კაცმა რომ თქვას ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ფორვარდისა და „ინტერის" ხელშეკრულებას ვადა ერთ წელიწადში გაუდის, რაც, მოგეხსენებათ, ევროპული ტრანსფერების ენაზე იმას ნიშნავს, რომ გაისად ამ დროს ვიერის სრული უფლება ექნება ქუდი დაიხუროს და მილანის გუნდი ყოველგვარი საკომპენსაციო თანხის გარეშე დატოვოს — სადაც მოეპრიანება იქ გადავიდეს, ასე, რომ ახალ გუნდს ერთი ცენტის გადახდა არ დაევალება. ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ „ინტერმა" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის სანაცვლოდ ფული მიიღოს, იგი ახლავე უნდა გაყიდოს.

კი მაგრამ, რატომ არ ახანგრძლივებს ვიერი კონტრაქტს თავად „ინტერთან"? პასუხი მარტივია: გასულ სეზონში თავდამსხმელი სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდა „შავ-ლურჯების" ძირითად შემადგენლობაში, ხოლო ამასწინათ კლუბის მფლობელმა მასიმო მორატიმ პირდაპირაც განაცხადა, რომ ეს ფეხბურთელი „ინტერის" სამომავლო გეგმებში არ შედის. გარდა ამისა, თუ „ინტერი" ვიერის ახლავე არ გაყიდის, საკმაოდ დიდი ხელფასი მთელი წლის განმავლობაში ტყუილად უნდა უხადოს.

აი, ასეთ ვითარებაში [illegible] „[illegible] ტუსი", რომელიც მარჩან ამ დროსაც [illegible] ბდა თავისი 1996-97 წლების სეზონის [illegible] ლავის დაბრუნებას, მაგრამ არ [illegible] სანიშნავია, რომ კრისტიან ვიერის [illegible] თავდანისმცემელი გახლავთ „[illegible] ნის" მწვრთნელი ფაბიო კაპელო. [illegible] ბუნებრივია კლუბის შეფები უარს არ [illegible] მაიუფერი თუ ამ საქმეში ფული არ [illegible] ჯებათ — „ინტერისთვის" [illegible] ლფასის თავიდან მოშორება [illegible].

მეტიც, მოგეხსენებათ, „ჩელსი" [illegible] ზეგეს ყიდვას ცდილობს და ამ [illegible] მილიონ გირვანქას არ ინანებს. [illegible] ნიშნავს, რომ „იუვენტუსს" შეეძლება [illegible] ნხით სხვა ფორვარდის ყიდვაც [illegible].

მოგეხსენებათ, „ბებერ ქალბატონს" [illegible] მეტად „რომასგან" ანტონიო კასანოს [illegible] სურს, მაგრამ როგორც [illegible], რომელსაც რომაელები [illegible].

**პაპუნა კედია**

# რა არ იცის რობინიომ რობინიოს შესახებ?

## თავდამსხმელმა პრეზიდენტი გააცეცხლა

**კონფედერაციათა** თასის ფინალის შემდეგ რობინიოს უთქვამს, მადრიდის „რეალში" თამაში მინდაო, რამაც „სანტოსის" პრეზიდენტი გააცეცხლა.

„მადრიდში გადასვლაზე ყაბულსა ვარ. მადრიდელებს ვესაუბრე და ვფიქრობ, ჩემი კარიერისთვის ასე უკეთესი იქნება" — განაცხადა რობინიომ.

წელიწადზე მეტია, მადრიდის „რეალი" ბრაზილიელი ფორვარდის გადაბირებას ცდილობს, „სანტოსის" პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ კი ფასი რა ხანია დაასახელა: რობინიოს კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს და თუ ვინმეს მისი შეძენა სურს, 50 მილიონი დოლარი დაღეჭონ.

ტეიშეირამ მადრიდელთა საქციელს არაეთიკური უწოდა, რაკი ესპანელებმა კლუბის დაუკითხავად გაბედეს ფეხბურთელთან საუბარი.

„ევროპაში უფრო უსაფრთხოდ ვიქნები — აღნიშნა რობინიომ, რომელსაც გასულ წელს დედა გაუტაცეს ფულის გამოძალვის მიზნით — ესპანეთი ბრაზილიელებისთვის იდეალური ქვეყანაა, თან მე კარგად ვიცნობ ვანდერლეი ლუქსემბურგოს".

„სანტოსი" შეურაცხყოფილია — განაცხადა მარსელო ტეიშეირა — მადრიდის „რეალი" შეიძლება ძალიან ძლიერი კლუბია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აკეთოს, რაც მოესურვება. რობინიოს კი წასვლას არ ვურჩევ, რადგან აქ თუ დარჩება, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაშის მეტი შანსი ექნება. გარდა ამისა, არის ისეთი პრობლემები, რომელთა შესახებ თავად ფეხბურთელმა არაფერი იცის".

**ბაჩა ხუციშვილი**



ყმაწვილ რობინიოს ახლა საკლუბო ტიტულებიც უნდა

# რეინას შეშინებული კირკლანდი



კრის კირკლანდმა „ლივერპული“ მიატოვა

„ლივერპულის“ მეკარე კრის კირკლანდმა „სელტიკში“ გადასვლას პრემიერლიგაში დარჩენა არჩია და ერთ სეზონს „ვესტ ბრომვიჩში“ ითამაშებს.

24 წლის კირკლანდს ინგლისის ნაკრებში თამაში სურს, საამისოდ კი საჭიროა, სვენ გორან ერიკსონის თვალთახედვის არეში იყოს. ახალ გუნდს ის უკვე შეუერთდა, ოფიციალური გარიგება კი 15 ივლისს შედგება.

კრის კირკლანდი „ლივერპულმა“ 2001-ში „ქოვენთრისგან“ ექვს მილიონ გირვანქად შეიძინა, ოღონდ მუდმივი ტრავმების გამო მეკარე ძირითად შემადგენლობაში ვერ ჩაეწერა. „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“ ადგილის მოსაპოვებლად მას რასელ ჰოულტთან ჭიდილი მოუწევს, რომელმაც განვლილ სეზონში კარგად ითამაშა და მწვრთნელის, ბრაიან რობსონის ქება დაიმსახურა.

ალბიონელთა თავკაცი კირკლანდის პროფესიონალიზმშიც დარწმუნებულია: „ის უმაღლესი კლასის მეკარეა, რომელიც ინგლისის ნაკრების წევრიც კი იყო, მაგრამ რამდენჯერმე მძიმედ დაშავდა და ადგილი ამიტომაც დაკარგა“.

კირკლანდმა ბოლო ოთხი წლის მანძილზე „ლივერპულში“ მხოლოდ 45-ჯერ ითამაშა, რადგან მუხლის, თითისა თუ ზურგის ტრავმებმა არ მოასვენა. მისი დაკარგული ალაგი ირჟი დუდეკმა დაიკავა.

„ლივერპულმა“ თითქმის მოაგვარა „ვილიარეალის“ მეკარის, ხოსე რეინას ტრანსფერის საქმე და კრის კირკლანდს ისღა დარჩენოდა, კლუბიდან აბარგებულიყო, რადგან დუდეკს და რეინას კონკურენციას ვერ გაუწევდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდოს ჯილდო

## ფერგიუსონმა ხუთი თითი გაშალა



კრისტიანო რონალდო არ იყიდება, თქვა სერ ალექს ფერგიუსონმა

**„მანჩესტერ იუნაიტედი“** კრისტიანო რონალდოსთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. პორტუგალიაში მყოფმა ალექს ფერგიუსონმა იქაურ მედიას განუცხადა, რომ ეს იქნება ჯილდო რონალდოსთვის, რადგან მისი პროგრესი აშკარაა.

უამრავი ჭორის მიუხედავად, თითქოს პორტუგალიელი ნახევარმცველი „რეალში“ ან „ბარსელონაში“ გადადიოდა, ფეხბურთელმა „ოლდ ტრეფორდზე“ დარჩენა გადაწყვიტა, ვინაიდან ჯამაგირის მომატებას შეჰპირდნენ.

„კლუბის აღმასრულებელი დირექტორ დევიდ გილს კრისტიანო რონალდოსთვის კონტრაქტი მომზადებული აქვს და მას მხოლოდ ხელმოწერა აკლია. თვითონ პორტუგალელი შვებულებაში იყო და საქმის დასრულება ამიტომ შეფერხდა“ — თქვა ალექს ფერგიუსონმა, ხელფასის ოდენობა კი არ გაამხილა.

რონალდომ გასულ სეზონში 40 მატჩი ითამაშა და ცხრა გოლი გაიტანა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ახალი გუნდის შენებას გეგმავს, რომელიც უეინ რუნის, ჯონ ოშის, დარენ ფლეტჩერისა და კრისტიანო რონალდოს ნიჭზე უნდაააწყოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვან დამი ბრემენში

**ბრემენის** „ვერდერმა“ „საუთჰემპტონიდან“ ერთი სეზონით ითხოვა ბელგიელი ჟილ ვან დამი. 21 წლის მცველს ეროვნული ნაკრების მაისურა ექვსჯერ მორგებია და თომას შააფს იგი „შტუტგარტში“ გადასული ლუდოვიკ მანინის შემცვლელად უნდა.

ბელგიელი უკეთესს ალბათ ვერც ინატრებდა, რადგან პრემიერლიგაში ჩაქვეითებულ „საუთჰემპტონს“ დასცილდა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი ეძლევა.



ჟილ ვან დამი კარიერას ბუნდესლიგაში გააგრძელებს

„ვან დამი საკმაოდ აგრესიული, სწრაფი ფეხბურთელია და თავითაც კარგად თამაშობს“ — განაცხადა თომას შააფმა.

ბრემენის „ვერდერის“ ახალწვეულმა კარიერა „ბეერსხოტში“ დაიწყო, 2002-ში ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა, ორი წლის შემდეგ კი — „საუთჰემპტონში“.

**ვაჟა ხუციშვილი**



სამუელ ეტოო „ბარსელონაში“ კიდევ ხუთი წელი ითამაშებს

# ხელფასი გამრავლებული სამზე

## გილოცავთ დაბადების დღეს, შეფ

**„ბარსელონას“** კამერუნელმა ვარსკვლავმა სამუელ ეტოომ კატალონიურ გრანდთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. ხელშეკრულების ახალი პირობების თანახმად, აფრიკელი თავდემსხმელი ამიერიდან „კამპ ნოუზე“ სამჯერ მეტ ჯამაგირს მიიღებს, ვიდრე აქამდე აძლევდნენ. ამასთან, ეტოოსთან კონტრაქტის გაწყვეტა 150 მილიონი ევრო ეღირება, ანუ სამუელის შეძენის მსურველმა „ბარსას“ კამერუნელში სწორედ ამდენი უნდა გადაუხადონ.

„კამპ ნოუს“ მეგოლესთან ხელშეკრულების განახლება ადგილობრივ შეფებს კარგა ხნით გაუჯანჯლდათ, რადგან ვერა და ვერ შეათანხმეს ეკონომიკური მხარე.

„მოხარული ვარ, კვლავ „ბარსაში“ რომ ვრჩები. იმედი მაქვს, დიდ ფეხბურთს კიდევ 10 წელიწადს ვითამაშებ და აქედან მეტხანს სწორედ „კამპ ნოუზე“ მინდა ყოფნა, კარიერის ბოლოს კი ისევ „მალიორკაში“, ჩემს მშობლიურ გუნდში დავბრუნდები“ — აღნიშნა ეტოომ ჟურნალისტებთან საუბრისას.

შეგახსენებთ 24 წლის „აფრიკელი ლომი“ კატალონიურ გრანდში გასულ აგვისტოს მივიდა და ნამდვილ მეგავარსკვლავად იქცა.

„29 ივნისს ჩემი დაბადების დღეა, რომლის საუკეთესო საჩუქარი სამუელ ეტოოსგან მივიღე. მან „ბარსასთან“ ხელმეორე კონტრაქტს მოაწერა ხელი“ — განუცხადა მედიას ხუან ლაპორტამ, „ბარსელონას“ პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ ჩაუქი აფრიკელით ლონდონის „ჩელსიც“ იყო დაინტერესებული. რომან აბრამოვიჩის ხალხი საარაკო თანხას 150 მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ როგორც თავად ხედავთ, სამუელი ისევ „კამპ ნოუზე“ თამაშს ამჯობინებს.

**ლადო ხომერიკი**

# თავისუფალი ტუსაღი

## შვიდიდან შვიდამდე

**„მანჩესტერ იუნაიტედისა“** და დანიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი მადს ტიმი სექტემბრამდე საგანგებო სამაჯურით ივლის, რომ პოლიციას არ დაეკარგოს. ასეთი სასჯელი გამოუწერა სასამართლომ ფეხბურთელს, რომელიც საგზაო წესების უხეში დარღვევაში დაადანაშაულეს.

მადს ტიმმა და მისმა თანაგუნდელმა კერტის ფლენაგანმა თებერვალში მანჩესტერის ქუჩებში საკუთარი ავტოებით გაიჯირითეს. „ფორმულა 1“-ის დანიელმა იმიტატორებმა შეჯიბრება ცუდად დაასრულეს. ფლენაგანის „ფორდ ფიესტა“ შემხვედრ ავტომობილს შეასკდა, რომლის მძღოლიც მძიმედ დაშავდა და სამკურნალო გახდა. ამის გამო კერტის ფლენაგას რვა თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი, ცხადია, გუნდიდან გააძევა.

მადს ტიმი შედარებით იოლად გადარჩა. მან მხოლოდ სამი თვე გაატარა დაწესებულებაში, რომელსაც „ახალგაზრდა კანონდამრღვევთა აღსაზრდელი ინსტიტუტი“ ჰქვია.

ინსტიტუტიდან გათავისუფლებულ აღსაზრდელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სექტემბრამდე დილის შვიდი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე სახლიდან გასვლა ეკრძალება. ეს ნიშნავს, რომ დანიელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდულ გუნდში ვერ ითამაშებს, რადგან მატჩები სწორედ საღამოს შვიდ საათამდე იმართება. გარდა ამისა, მადს ტიმს მომდევნო ორი თვის განმავლობაში ბრიტანეთიდან გასვლის უფლებაც აჰყარეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბარსელონელი მაქსი მადრიდელი გახდა



მაქსი როდრიგესის მაქსიმუმი ამ ეტაპზე „ატლეტიკოა“

**არგენტინელი** მაქსი როდრიგესი მომავალი სეზონიდან „ესპანიოლის“ თეთრ-ცისფერ ფორმას მადრიდის „ატლეტიკოს“ თეთრ-ალისფერით შეცვლის. როგორც იქაური „ელ მუნდო დეპორტივო“ გვამცნობს, პატაგონიელმა ნახევარმცველმა მადრიდელ ათლეტებთან უახლოესი სამი სეზონით გადაინაცვლა. როდრიგესთან განშორება კატალონიური გუნდის მესვეურთ საკმაოდ გაუჭირდათ, „ნიუელს ოლდ ბოისიდან“ 2002 წელს მისულმა არგენტინელმა „ესპანიოლს“ ალღო მალევე აუღო და იქაურთა ბომბარდირი შეექნა. თავიდან „ატლეტიკოს“ წარმომადგენლებმა მაქსიში ოდენ 3 მილიონი გაიმეტეს, თუმც „ესპანიოლის“ ცივი უარის შემდეგ იძულებულები გახდნენ, ხსენებული თანხისთვის 2 მილიონი კიდევ დაემატებინათ.

„ეს ჩვენთვის ნამდვილად საჭირო შენაძენია. მაქსის ადრეც ვაკვირდებოდით და მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ თამაშს ჩვენს გუნდში გააგრძელებს“ — უთხრა „ელ მუნდო დეპორტივოს“ კარლოს ბიანკიმ, „ატლეტიკოს“ თავკაცმა.

ოდინდელი ინფორმაციის მიხედვით ამ საქმესთან დაკავშირებულ სატრანსფერო ოპერაციაში „ხურდად“ თითქოს ველასკოს და ალვარო ნოვოს სახელებსაც უნდა გაეჟღერა, მაგრამ გარიგების დასასრულ მაქსის საქმე ოდენ 5 მილიონად მოაკერახჭინეს.

**ლადო ხომერიძი**

# პაბლო გარსია არ იპრანჭება



„რეალის“ პირველი შენაძენი — ურუგვაელი პაბლო გარსია

**ფლორენტინო პერესს** ანუ მადრიდის „რეალს“ ახალი ფეხბურთელი ჰყავს. „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბინადარმა გალაქტიკოსებმა ნავარულ „ოსასუნასგან“ ნახევარმცველი პაბლო გარსია იყიდეს, რომელიც მადრიდულ სარბიელზე მომდევნო ოთხი სეზონის განმავლობაში ითამაშებს. ამგვარად, სამეფო გუნდმა 2005-06-ის პრიმერასთვის პირველი ფეხბურთელი შეიძინა, დანარჩენ ტრანსფერებს კი — კარლოს დიოგო, სერხიო რამოსი და რობინიო — უახლოეს მომავალში ელიან. ურუგვაელ პაბლო გარსიას „რეალის“ ფეხბურთელად ოფიციალურად 10 ივლისს წარადგენენ.

„თეთრი მაისურით თამაში ჩემთვის ძლიერ საამაყოა. „რეალი“ ფანტასტიკური კლუბია, აქ მოხვედრილი ნებისმიერი ფეხბურთელი გრძნობს, რომ ჯადოსნური სამყაროს ნაწილს წარმოადგენს“ — განაცხადა პაბლო გარსიამ, ოღონდ ამასთანავე აღნიშნა, რომ ახალ სარბიელზე პრანჭვას ნამდვილად არ აპირებს:

„თავს „გალაქტიკოსად“ ვერ ჩავთვლი. უბრალოდ, იმავე საქმეს გავაკეთებ, რასაც „ოსასუნაში“ ვაკეთებდი“ — სამხრეთული გულახდილობით ამბობს ურუგვაელი.

**ლადო ხომერიძი**

# მწვრთნელს შეგირდი სხვაგან დაუბრუნდა

**28 წლის** ხუან მანუელ დელგადო, იგივე ხუანმა, ამიერიდან გალისიურ „დეპორტივოში“ ითამაშებს. სანტანდერის „რასინგის“ ყოფილმა მცველმა ხოაკიმ კასპაროსის გუნდთან სატრანსფერო ხელშეკრულება გააფორმა და მომავალი ორი სეზონის განმავლობაშიც ლაკორუნიაში, „რიასორზე“ დარჩება.

„ჩემი თამაშით სხვა გუნდებიც ინტერესდებოდნენ, თუმცა „დეპორის“ ვარიანტი სხვებზე უფრო ხელსაყრელად მივიჩნიე. 28 წლის კაცისთვის ახალ ძლიერ გუნდში მოხვედრა საკმაოდ ძნელია“ — განაცხადა ფეხბურთელმა, რომლის შეძენა იტალიური „ბრეშას“ გარდა ინგლისურ და ესპანურ მეორეხარისხოვან გუნდებსაც სურდათ. დელგადოსა და „დეპორტივოს“ ამჟამინდელ მწვრთნელს ადრეც უთანამშრომლიათ. „რეკრეატივოში“ ყოფნისას, 1998-99 წლების სეზონში, სენიორ კაპაროსი სხვებთან ერთად სწორედ, ხუანმას დამრიგებელიც გახლდათ.

„იგი ფიზიკურად ძალიან ძლიერია, ამასთანავე სწრაფი და ბურთთან მოპყრობაც ეხერხება. „დეპორტივოს“ ინჩასებს შეუძლიათ, უყოყმანოდ მენდონ, ყოფილი შეგირდის ავანჩავანი ზეპირად ვიცი“ — აღნიშნა ხოაკიმ კაპაროსმა „მარკასთან“ ინტერვიუში. ხუან მანუელ დელგადო „რიასორზე“ „რასინგიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდა, ანუ გალისიელებს ახალი მცველის შესაძენად ჯიბეზე ხელის გაკერა არ დასჭირვებიათ.



ხოაკინ კაპაროსი „დეპორტივოს“ აძლიერებს

**ლადო ხომერიძი**

## ლიბერტადორესის თასი 2005

**ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი**

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:3 სან პაულუ (ბრაზილია) (0:2)**

0:1 დანილუ (11), 1:1 ფარიასი (35), 1:2 ამოროზო (59), 1:3 ფაბაუ (80), 2:3 სალასი (84)

**რივერ პლეიტი:** კოსტანცო, დიოგო, ამელი, ტუციო, დომინგესი (მონტენეგრო 25), ლუჩო გონსალესი (გ. ფერნანდესი 66), მასკერანო, საპატა (სამბუესა 56), გალიარდო, მ. სალასი, ფარიასი

მწვრთნელი: ლეონარდო ასტრადა

**სან პაულუ:** როჟერიო სენი, ფაბაუ, ალექსი, დიეგო ლუგანო, სოუზა, მინეირო, ხოსუე (რენანი 46), დანილუ, ჟუნიორი, ლუიზაო (ალე 85), ამოროზო

მწვრთნელი: პაულო აუტორი

გაფრთხილება: მინეირო, მასკერანო, ლუჩო გონსალესი, ფაბაუ, ლუიზაო, ჟუნიორი, როჟერიო სენი, დიეგო ლუგანო, დიოგო

მსაჯი: რუბენ სელმანი (ჩილე)

60 000 მაყურებელი

# ბრაზილია მეტია არგენტინაზე

**ორი დღის წინ** ბრაზილიის ნაკრებმა ფრანკფურტში დასცა არგენტინა, ბუენოს აირესში კი „სან პაულომ“ იგივე დამართა „რივერ პლეიტს“.

ამათი პირველი თამაში ბრაზილიელთა სახეიროდ დასრულდა და რა გასაკვირია, რომ საპასუხო არგენტინელთა იერიშებით დაიწყო — ჯერ სწრაფი გოლი გაეტანათ, მერე კი როგორმე მეორესაც შეწვდებოდნენ.

მაგრამ მასპინძელთა მიწოლამ დიდხანს ვერ გასტანა და სანპაულუელებმა ინიციატივა მალევე ჩაიგდეს ხელში, რასაც გოლი მიაყოლეს. დანილუს საგოლე თავურმა „რივერი“ ოთხი საპასუხოს გატანის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

მაგრამ რაც გინდა — უპირატესობა ისევ ბრაზილიელებისა იყო და ამგვარმა ვითარებამ 35-ე წუთამდე გასტანა, სანამ ფარიასმა არ გაათანაბრა. ტაიმის ბოლომდე კი სტუმართა მეკარე როჟერიო სენის ორიოდე ძლიერი ბურთის აღებაც მოუხდა.

შესვენების შემდეგ, მასპინძლებს რაღა დარჩენოდათ და, ვა ბანკზე წავიდნენ, უკანმოუხედავ იერიშებში გადაეშვნენ და კონტრიერიშზე წამოეგენ — ამოროზომ წინ ისევ ბრაზილიელები გაიყვანა.

ამან „რივერის“ იერიშები კიდევ უფრო სასოწარკვეთილი გახადა, თუმცა ისიც საფიქრელია, რომ არგენტინელებს ბევრიც არაფერი გამოსდიოდათ და ფაქტობრივად ერთადერთი კაცი, რაღაცის მაქნისი რომ იყო, მარსელო გალიარდო გახლდათ, დანარჩენების თამაში ჭკვიანური არ ყოფილა.

ფაბაუს გოლმა „რივერს“ საბოლოოდ წაუხდინა ხასიათი, თუმცა სანპაულუელებიც მოადუნა და ამით თუ აიხსნება მარსელო სალასის ბოლოსკენ გატანილი გოლი.

„რივერის“ წაგება დასრულდა, „სან პაულუ“ კი პირველი ფინალისტი გახდა.

**კოტე კეკელია**



AFP

მარსელო სალასის (№11) გოლმა არგენტინელებს ვერ უშველა

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XI ტური**

ალიანსი — ტამპერე 1:0; ლაჰტი — ტპ 47 1:4; იარო — ჰიკ 0:0; ინტერი — ტურკუ 2:0; მიუპა — მარიეჰამნი 2:1; როვანიემი — კუოპიო 3:4; კტპ — ჰაკა 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 11 | 6 | 4 | 1 | 16:5 | 22 |
| ჰიკ | 11 | 5 | 6 | 0 | 15:7 | 21 |
| ინტერი | 11 | 5 | 5 | 1 | 15:3 | 20 |
| ჰაკა | 11 | 4 | 6 | 1 | 12:8 | 18 |
| ტამპერე | 10 | 5 | 3 | 2 | 13:8 | 18 |
| ალიანსი | 11 | 3 | 7 | 1 | 10:7 | 16 |
| კტპ | 11 | 4 | 4 | 3 | 15:15 | 16 |
| მარიეჰამნი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:12 | 16 |
| ლაჰტი | 11 | 4 | 2 | 5 | 16:19 | 14 |
| კუოპიო | 11 | 3 | 1 | 7 | 12:21 | 10 |
| ტპ 47 | 11 | 2 | 2 | 7 | 7:11 | 8 |
| ტურკუ | 10 | 2 | 2 | 6 | 5:11 | 8 |
| იარო | 11 | 1 | 5 | 5 | 4:14 | 8 |
| როვანიემი | 11 | 0 | 5 | 6 | 10:21 | 5 |

## შვედეთი

**ალსვენსკა XII ტური**

**ჰელსინგბორგი 2:1 სუნდსვალი**

**გიოტებორგი 4:0 ჰალმსტადი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 12 | 8 | 2 | 2 | 26:14 | 26 |
| კალმარი | 12 | 6 | 4 | 2 | 12:7 | 22 |
| მალმიო | 12 | 7 | 1 | 4 | 15:12 | 22 |
| გიოტებორგი | 12 | 5 | 5 | 2 | 15:9 | 20 |
| ჰელსინგბორგი | 12 | 6 | 2 | 4 | 19:18 | 20 |
| ჰეკენი | 12 | 6 | 1 | 5 | 21:14 | 19 |
| ელფსბორგი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:18 | 18 |
| ჰალმსტადი | 12 | 5 | 2 | 5 | 18:17 | 17 |
| ჰამარბი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:15 | 15 |
| იორგრიტე | 12 | 4 | 2 | 6 | 15:19 | 14 |
| გეფლე | 12 | 4 | 1 | 7 | 10:16 | 13 |
| ლანდსკრონა | 12 | 3 | 4 | 5 | 14:22 | 13 |
| სუნდსვალი | 12 | 3 | 1 | 8 | 13:21 | 10 |
| ასირისკა | 12 | 2 | 1 | 9 | 8:16 | 7 |

# ფიფას კონფედერაციათა თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი




# ...და ილოცა ბრაზილიამ!
## კონფედერაციული სიტყვები და რიცხვები

*კონფედერაციათა თასი პატრონს ჩაბარდა — ღირსეულ პატრონს, რომელმაც ფინალში ღირსეული მეტოქე დაამარცხა. რაღა თქმა უნდა, მესამე ადგილისთვისაც ღირსეული გუნდები იბრძოდნენ.*

*შეჯიბრი შეჯიბრად და, წლევანდელი გათამაშება იმითაც არის გამორჩეული, რომ გაისად მსოფლიოს ჩემპიონატია და შეგვიძია ვთქვათ, რომ გუნდებმა ერთმანეთიც გასინჯეს და გერმანული მოედნებიც.*

*ხოლო ვის როგორი შთაბეჭდილება მიყვება კონფედერაციათა თასიდან ამას ქვემოთ შევიტყობთ*

**დავიწყოთ** გამარჯვებულის მწვრთნელით, ვისაც თავის დროზე უფრო დიდი ტურნირებიც აქვს მოგებული — 11 წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატი, შარშან კი კოპა ამერიკა.

კარლოს ალბერტო პარეირა: „ჩვენთვის ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მისგან ყველაფერი მივიღეთ, რასაც ვგეგმავდით და ველოდით. ჯგუფის მატჩებში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოვცადეთ, თუმცა გადამწყვეტ შეხვედრებში ისევ გამოცდილებს ვენდეთ და გავიმარჯვეთ. ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით. ფეხბურთელებმა დასვენებაც დაიმსახურეს, მათ მთელი ტურნირი უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ჩაატარეს.“

მერე პარეირამ თქვა, გაისად მსოფლიოს ჩემპიონატსაც მოვიგებ და ნაკრებიდან წავალო.

და სად მიდის მწვრთნელი?

— ფეხბურთი ფანატიკურად მიყვარს და ვერ შევეშვები. გადაწყვეტილი მაქვს, საკუთარი სკოლა დავაარსო და ტალანტები აღვზარდო — განმარტა პარეირამ.

არგენტინელთა მწვრთნელი ხოსე პეკერმანი კი წაგებით, რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი დარჩა: „წაგება ყოველთვის გულდასაწყვეტია, მით უმეტეს, ასეთ თამაშში და ასეთი ანგარიშით. იმედი მქონდა, ისევე ვითამაშებდით, როგორც ამას წინათ ბუენოს აირესში, როცა ბრაზილიას 3:1 მოვუგეთ. მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა. ბრაზილიელებმა პირველი ორი მომენტი გოლებად აქციეს, რის მერეც თამაშის შემობრუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. რა თქმა უნდა, კვირას მექსიკასთან პენალტებამდე მისულმა მატჩმა ძალიან გადაგვღალა, რაც ფინალშიც გვეტყობოდა, მაგრამ ამ მარცხის მხოლოდ დაღლილობით ახსნაც სწორი არ იქნება.

ასეა თუ ისე, ამ წაგების გამო ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ჩვენ სერიოზული ტურნირის ფინალში გავედით და იქ ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო ნაკრებთან დავმარცხდით.“

ახლა კომენტარებისგან ერთხანს სტატისტიკაზე გადავერთოთ, მით უმეტეს, რომ ახალ რეკორდთან გვაქვს საქმე.

ტურნირის ბოლო გოლი პაბლო აიმარმა გაიტანა და ეს გოლი რიგით 56-ე იყო. აქამდე ყველაზე უხვგოლიან გათამაშებად 1999 წელს მექსიკაში ჩატარებული ტურნირი გახლდათ, რომელზეც 55 გოლი გავიდა.

ფინალშივე გატანილი რონალდინიოს გოლი მისთვის მეცხრე იყო, რაც კი კონფედარეციათა თასის გათამაშებებში გაუტანია. ამ შედეგით ბრაზილიელთა კაპიტანი ყველა დროის რეკორდსმენს, მექსიკელ კუატემოკ ბლანკოს გაუსწორდა.

ასეთი რამეც დაითვალეს: რაც კი კონფედერაციათა თასი თამაშდება, ბრაზილიას ჯამში 44 ქულა დაუგროვდა და ამ შედეგს ვინძლო კარგა ხანს ვერავინ მიუახლოვდეს. უახლოესი მდევარი — თუ შეიძლება ასე ითქვას — მექსიკის ნაკრებია და ბრაზილიას მთელი 21 ქულით ჩამორჩება.

და ერთიც: შეჯიბრზე ჩატარებულ 16 მატჩში რვა პენალტი დაინიშნა, რაც აქამდე არასდროს მომხდარა.

ახლა კი ისევ კომენტარებს მივუბრუნდეთ და ბუნდესნაკრების დამრიგებლის, იურგენ კლინსმანის აზრი მოვისმინოთ: „ადრეც არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, რომ სასწავლი კიდევ ბევრი გვაქვს და მოთმინებამ არ უნდა გვიღალატოს. რა თქმა უნდა, შეცდომები გვქონდა, მაგრამ მე სხვაგვარად ვიტყვი — ამ ტურნირზე ჩვენ უფრო ნაკლები შეცდომა დავუშვით, ვიდრე იქამდე ჩატარებულ მატჩებში. ეს ფაქტია და თუ შეცდომების რაოდენობამ იკლო, ესე იგი, სწორად ვმუშაობთ. დარჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად კი დრო გვაქვს.“

დავძინოთ, რომ როცა კლინსმანმა ეს სიტყვები თქვა, ანუ შეჯიბრის ბოლო დღეს, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე 345 დღე რჩებოდა, ეს ვადა კი გერმანიის დარი გუნდისთვის ხარვეზების აღმოსაფხვრელად ვინძლო საკმარისი უნდა იყოს.

და ისევ სტატისტიკა, ოღონდ ამ ჯერზე ამ შეჯიბრისას გამორჩეული ფეხბურთელები ვახსენოთ.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ბრაზილიელი ადრიანო გახდა 5 გოლით, მასზე ერთით ნაკლები კი მიხაელ ბალაკმა, ავსტრალიელმა ჯონ ალოიზიმ და არგენტინელმა ლუსიანო ფიგეროამ გაიტანეს.

საგოლე პასებით თანაგუნდელები სხვებზე მეტად ისევ ბრაზილიელებმა, სისინიომ და რობინიომ მოამარაგეს, რომლებმაც 3-3 საგოლე კომბინაციაში მიიღეს მონაწილეობა.

კარში ყველაზე მეტჯერ ბალაკმა და რომან რიკელმემ დაარტყეს: ათ-ათჯერ, მეკარეთაგან კი ყველაზე მეტი ბურთი მექსიკელმა ოსვალდო სანჩესმა მოიგერია —21.

ტურნირის 16 მატჩს ამდენივე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც ჰყავდა, რომელთა გამოვლენა-სპონსორობა განთქმულმა ლუდმა „ბუდვაიზერმა“ ითავა. სამჯერ საუკეთესოდ ლუდის მსმელთა ქვეყნის კაპიტანს ბალაკს ერგო, რომელმაც მოკრძალებულად თქვა, გერმანიის ნაკრებში თამაში ერთი სიამოვნებააო. ფინალის საუკეთესოდ კი რონალდინიო დაასახელეს.



**კოტე კეკელია**

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ზიზინიო

# ფეხბურთის ტყუილ-მართალი

## ლეონიდასის შემდეგ, პელემდე

ტომაშ სუარეშ და სილვა 1921 წლის 14 სექტემბერს დაიბადა, ხოლო უფალს სული 81 წლის შემდეგ, რიო დე ჟანეიროდან 19 კილომეტრში, პატარა ქალაქ ნიტეროეში, ერთ-ერთი ქალიშვილის სახლში, მიაბარა. გარდაცვალების მიზეზი: გულის პრობლემები.

სხვათაშორის, სიცოცხლის ბოლო მონაკვეთში ზიზინიომ კალამს მოჰკიდა ხელი და 233 გვერდიანი ავტობიოგრაფია გამოაქვეყნა. წიგნს ერქვა „მესტრე ზიზა: ფეხბურთის ტყუილ-მართალი“. მასში ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიის ზოგი ფურცელი სულაც არ არის აღწერილი ისე, როგორც საზოგადოებამ მანამდე იცოდა, რითაც იმის თქმა გვინდა, რომ მესტრე ზიზას მონათხრობი საინტერესოა. წიგნის პრეზენტაციაზე ავტორი ასაკის მიუხედავად თავად არიგებდა ავტოგრაფებს.

უფრო ადრე, მწერლობამდე, ზიზინიომ მწვრთნელობა სცადა. სათავეში ედგა რიო დე ჟანეიროს „ამერიკას“, „ბანგას“, „ვასკუ და გამას“, ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებს, რომელსაც 1975 წელს პანამერიკული თამაშები მოაგებინა, მაგრამ მოდი, თავს ნუ მოვიტყუებით და ნუ ვიტყვით, რომ მისგან განსაკუთრებული მწვრთნელი გამოვიდა. აი, ფეხბურთელი კი...

...ამბავი იმით დაიწყო, რომ ზიზინიოს მამამ, მშობლიურ ქალაქ სან გონსალოში, უფრო ზუსტად კი ამ ქალაქის უბანში, რომელსაც პაივა ჰქვია, ძმაკაცებთან ერთად ფეხბურთის გუნდი ჩამოაყალიბა და „კარიოკა“ დაარქვა. მამამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი, გუნდს ფორმებიც კი მოუგონა — მაისურები „მილანისგან“ გადმოიღო, ხოლო შორტებად რიოს შტატის დროშის ცისფერი დათქვა. სწორედ იქ დაიწყო ბურთის გორება 15 წლის ზიზინიომ, რომელიც ჩვიდმეტისა „ბაირონში“ გადავიდა, ოღონდ, იქ მხოლოდ ოთხი თვე გაატარა. „ბაირონის“ შემდეგ მის ცხოვრებაში დიდი ფეხბურთის ეპოქა დაიწყო.

*ბრაზილიაში როდის რახდებოდა არ ვიცი, აქ, თბილისში კი ყოველთვის ძალიან მამხიარულებდა მათი ერთი ძველი ვარსკვლავის მეტსახელი — ზიზინიო. ალბათ, დამეთანხმებით, ეს ბრაზილიელები რამდენადაც ბურთაობაში არიან ძლიერები, იმდენად სახალისოები ბრძანდებიან მეტსახელებში. ეგ არის, მერე ყურს ვაჩვევთ, თორემ თუნდაც ახლანდელ გუნდში კაკა და სისინიო ძველ სახელებზე ნაკლებად ჟღერს? ვაგნერიო, ვამპეტაო, ალენდელონიო... ჰოდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ზიზინიო მახალისებდა ძალიან. ოღონდ, ცხადია, ეს ზიზინიო დიდებული ფეხბურთელი რომ იქნებოდა ეჭვი არ მეპარებოდა. თურმე ნუ იტყვით და დიდებული კი არა, პელეს გამოჩენამდე ის ყოფილა და მისი ბრაზილიური ნაბადი. ჰქონია ჩახლართული დრიბლინგი და მარტივი, ღონიერი და მიზნიანი დარტყმა. ნამდვილ სახელად ტომაშ სუარეშ და სილვა ჰქვიებია, თქმა კი ასე სცოდნია: „ბურთს თავისი ცხოვრება აქვს. მას უყვარს, როდესაც ნაზად ეპყრობიან.“ ჰოდა, ქვემოთ ზიზინიოზე გვინდა მოკლედ გიამბოთ*



ტომაშ სუარეშ და სილვა, იგივე ზიზინიო

ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში პელეს წინა ეპოქის მთავარ ვარსკვლავად, როგორც მოგახსენეთ, ზიზინიოა მიჩნეული, ზიზინიომ კი, ასე ვთქვათ ესტაფეტა, ლეონიდასისგან მიიღო და, სხვათაშორის, ეს ამბავი ძალიან საინტერესოდ მოხდა: ყმაწვილი ზიზა ჯერ „ამერიკაში“ გასინჯეს, შემდეგ „სან კრისტოვაოში“, მაგრამ ერთგანაც დაიწუნეს, მეორეგანაც და ამის შემდეგ გაწბილებული „ფამინგოში“ მივიდა, პირველი ვარჯიში ჩაატარა და... „ფლამენგოს“ უახლოესმა მატჩმა არგენტინულ „ინდიპენდიენტესთან“ უწია, რომლის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე თვით ლეონიდასი დაშავდა. მწვრთნელმა, ფლავიო კოსტამ სათადარიგოთა სკამს თვალი გააყოლა-გამოაყოლა (შავი ალმასის შეცვლა ხუმრობა ხომ არ იყო) და მზერა 18 წლის ზიზინიოზე შეაჩერა.

„მგონი, რაღაცის ჩვენება გინდოდა, არა? გადი, აბა, მოედანზე!“ — უთხრა მწვრთნელმა.

ზიზინიო გავიდა, ათ წუთში ორი გოლი გაიტანა და იქვე, მატჩის შემდეგ პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი. მოკლედ, ლეონიდასმა „ფლამენგოში“ კიდევ სამი წელიწადი გაატარა, მაგრამ მისი შემცვლელის საკითხი აღარ იდგა, ხოლო ზიზამ თითქოს ტრამპლინზე ფეხი დაჰკრაო, 1940 წელს ფლავიო კოსტას ხელმძღვანელობით ის უკვე რიოს ნაკრებში თამაშობდა [illegible] 1942—1944 წლებში „ფლამენგოს“ შემადგენლობაში [illegible]

[illegible]

„ფლამენგოში“ ზიზინიომ 11 წელიწადი გაატარა და თითქოს არც მეთორმეტე წელიწადს უნდა წასულიყო სადმე, მაგრამ მოხდა მოული ქვეყნისთვის ძალიან უცნაური რამ — 1950 წლის მუნდიალის წინ (ამ ჩემპიონატს, მოგეხსენებათ, ბრაზილიამ უმასპინძლა) ვარსკვლავმა ფეხი დაჰკრა და „ბანგუში“ გადავიდა. მიზეზი? მართალი გითხრათ, ამომწურავად დღემდე ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ ამბობენ, რომ კონკრეტულ, ხილულ მიზეზად „ფლამენგოსა“ და „ბანგუს“ პრეზიდენტების, დარიოდე [illegible] ნტუს და გილერმე და სილვეირა ფილიუს ერთი საუბარი იქცა. [illegible] რქმოდ, „ფლამენგოს“ პრეზიდენტი კოლეგისთვის უთქვამს ჩემს გუნდში ხელშეუხებელი არავინაა, გადამიხადე 800 ათასი კრუზეირო და თუ გინდა ზიზინიოს მიგყიდი. ეს იყო და, როგორც [illegible] გილერმე და სილვეირა ფილიუს დასახელებული თანხა აღმოაჩნდა, ხოლო ზიზინიოს დარიოდე [illegible] პინტუს დამოკიდებულება ისე ეწყინა, რომ წასვლითაც წავიდა და დაიფიცა კიდეც ამ გუნდის მაისურს ცხოვრებაში აღარ ჩავიცვამო.

„თქვენი გუნდის წარმატებისთვის ერთი-ორჯერ მოტეხილი ფეხით მითამაშია, თქვენ კი ჩემს ზურგს უკან გარიგებებს აწყობთ?“ — [illegible] ზიზამ წასვლის წინ [illegible] როც მიუჯახუნა.

და ამ დღიდან 38 წელიწადის შემდეგაც კი, როდესაც „ფლამენგოს“ „მარაკანაზე“ რაღაც საზეიმო-[illegible] მატჩი ჰქონდა დანიშნული, რომელზე დასასწრებადაც [illegible] ყველა თაობის „ფლამენგოს“ [illegible] პატივცემულნი, ზიზინიომ [illegible] უარი განაცხადა [illegible] „ფლამენგოს“ სულ სხვა თაობის [illegible] ვანელებს გავრცობინეს, რომ [illegible] მაზე საუბარიც კი [illegible]

**დასასრული ხვალინდელ „სარბიელში“**







# სარჩიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 1 | ცსკა-დინამო | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 15:00 | 2 | კრილია-როსტოვი | 1..55 | 3.70 | 5.30 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 15:00 | 3 | სატურნი-სპარტაკი | 3..20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| 15:00 | 4 | შინიკი-მოსკოვი | 2..35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 15:00 | 5 | ტომსკი-ალანია | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 15:00 | 6 | ტორპედო-რუბინი | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 15:00 | 7 | ზენიტი-ამკარი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 8 | ლოკომოტივი-ტერეკი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 18 | სოგნდალი-ჰიოდი | 1.50 | 4.30 | 5.00 | 1.11 | 1.15 | 2.31 |
| 20:00 | 19 | ალტა-სანდეფიორდი | 4.00 | 4.20 | 1.65 | 2.04 | 1.16 | 1.18 |
| 20:00 | 20 | ფოლო-ბრინი | 4.50 | 4.00 | 1.55 | 2.11 | 1.15 | 1.11 |
| 20:00 | 21 | ჰაუგესუნი-პორს გრენლანდი | 1.95 | 3.90 | 3.00 | 1.29 | 1.18 | 1.69 |
| 20:00 | 22 | მოსი-სკეიდი | 1.60 | 4.00 | 4.50 | 1.14 | 1.18 | 2.11 |
| 20:00 | 23 | სტაბეკი-ლოვ ჰამი | 1.15 | 7.30 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 4.21 |
| 20:00 | 24 | სტრომსგოდსეტი-კონგსვინგერი | 2.00 | 3.90 | 2.90 | 1.32 | 1.18 | 1.66 |
| 20:00 | 25 | ტრომსდალენი-მანდალი | 2.05 | 4.00 | 2.80 | 1.35 | 1.18 | 1.64 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 31 | ჰეკენი-ასირისკა | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 19:00 | 32 | ლანდსკრონა-ჰამარბი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 33 | ორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 21:00 | 34 | ჰალმსტადი-მალმიო | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 22:00 | 35 | ელფსბორგი-კალმარი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 40 | გაის-ვესბი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 41 | ფალკენბერგი-დეგერფორსი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 19:00 | 42 | ენგელჰოლმი-ბრომაპოიკარნა | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 19:00 | 43 | ოსტერსი-ტრელებორგი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 21:00 | 44 | ბოდენსი-მიალბი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 45 | ორებრო-ლიუნგსკილე | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 21:00 | 46 | ვესტერასი-ნორჩიოპინგი | 3.00 | 3.30 | 2.10 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **1 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 67 | ბოჰემიანი-უოტერფორდი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:45 | 68 | დროგედა-ბრეი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 22:45 | 69 | დუბლინი-კორკი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 23:00 | 70 | შელბურნი-დერი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 71 | ლონგფორდი-შემროკი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 22:45 | 72 | ჰერპსი-სტ.პატრიკსი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 73 | ტოკიო-ჩერეძო | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 14:00 | 74 | გამბა-ვერდი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 14:00 | 75 | ივატა-კავასაკი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 14:00 | 76 | კაშივა-პიროსიმა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 14:00 | 77 | ნაგოია-ომია | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 78 | ოიტა-იოკოჰამა | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 14:00 | 79 | კობე-იჩიპარა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 80 | კაშიმა-შიმიცუ | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 14:00 | 81 | ურავა-ნიიგატა | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 86 | კოლამბუსი-ვაშინგტონი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 23:45 | 87 | დალასი-სან ხოსე | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 23:45 | 88 | ჩივასი-ჩიკაგო | 3.20 | 3.10 | 2.00 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 99 | ვასკუ და გამა-გოიასი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:00 | 103 | კურიტიბა-პაისანდუ | 1.55 | 3.30 | 5.50 | 1.05 | 1.20 | 2.06 |
| 23:00 | 105 | ფლუმინენსე-პარანა | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 101 | ატლეტიკო მნ-ფლამენგო | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:00 | 104 | ფიგეირენსე-კრუზეირო | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:00 | 106 | ფორტალესა-კორინთიანსი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 23:45 | 107 | ინტერნაციონალი-სან კაეტანო | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 108 | პალმეირასი-ბოტაფოგო | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 23:45 | 109 | სანტოსი-ჟუვენტუდი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიაში(20)** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 246 | ბრაზილია(20)-მაროკო(20) | 1.50 | 3.80 | 5.60 | 1.07 | 1.18 | 2.26 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

ტელკრედიტი TELCREDITI

CROCO BOOKMAKERS

10 42 00 24 +9


**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 247 | არგენტინა(20)-ნიგერია(20) | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 230 | ვოლფსბურგი-შტურმი | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 18:00 | 231 | კლუჟი-ბილბაო | 4.10 | 3.20 | 1.70 | 1.79 | 1.20 | 1.11 |
| 19:30 | 232 | სლავენი-გლორია | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 20:00 | 233 | ჰამბურგი-პობედა | 1.15 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.46 |
| 21:00 | 234 | გენტი-ზლინი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 21:00 | 235 | სიგმა-პოგონი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 21:00 | 236 | სლოვანი-ბეიტარი | 1.35 | 3.90 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.50 |
| 21:30 | 237 | ანკარა-დუბნიცა | 1.45 | 3.50 | 5.70 | 1.02 | 1.15 | 2.16 |
| 22:00 | 238 | ლოკერენი-იანგ ბოიზი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:00 | 239 | სტ.ეტიენი-ქსამაქსი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 22:00 | 240 | ვარტექსი-ინტერი ტურკუ | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 23:15 | 241 | დეპორტივო-ბუდუჩნოსტი | 1.15 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.66 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 242 | ქალგირისი-დინაბურგი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 20:00 | 243 | ლანსი-ლეხი | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| 20:00 | 244 | ტამპერე-შარლერუა | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 20:00 | 245 | პაპა-გიოტებორგი | 2.50 | 3.20 | 2.30 | 1.40 | 1.19 | 1.33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩოგბურთი უიმბლდონი კაცები** | | | | | | |
| | | **1 ივლისი** | | | | | | |
| 16:00 | 248 | ფედერერი-ჰიუიტი | 1.15 | | | | | 6.00 |
| 16:00 | 249 | იოჰანსონი ტ-როდიკი | 4.70 | | | | | 1.15 |
| | | **ფრენბურთი.კაცები. მსოფლიო ლიგა.** | | | | | | |
| | | **1 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 300 | ბულგარეთი-იტალია | 1.90 | | | | | 1.70 |
| 22:00 | 301 | სერბეთი-საბერძნეთი | 1.35 | | | | | 2.90 |
| 23:45 | 302 | არგენტინა-პოლონეთი | 1.80 | | | | | 1.85 |
| 23:45 | 303 | კუბა-საფრანგეთი | 1.30 | | | | | 2.75 |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 10:00 | 304 | იაპონია-პორტუგალია | 2.20 | | | | | 1.45 |
| 17:00 | 305 | ბრაზილია-ვენესუელა | 1.03 | | | | | 8.00 |
| | | **ფრენბურთი.კაცები. ევროლიგა.** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 306 | ესტონეთი-ფინეთი | 1.80 | | | | | 1.80 |
| 20:00 | 307 | თურქეთი-ესპანეთი | 1.45 | | | | | 2.20 |
| 20:00 | 308 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.15 | | | | | 4.00 |
| 21:30 | 309 | გერმანია-რუსეთი | 2.30 | | | | | 1.40 |

# ფორმულა 1 (საფრანგეთი). 2 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 35.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 2.35 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 100.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 3.80 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ვებერი | 24.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 21.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 16.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 10.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 8.50 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 4.30 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 35.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 70.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 14.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 65.00 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი [illegible]) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

## კალათბურთი

# ავიამშენმა შენება დაიწყო

## ლევან მოსეშვილმა დავით ბერიშვილი დაიბევა



ცოტა ხნის წინ დავით ბერიშვილი „ავიამშენის“ წინააღმდეგ თამაშობდა

**ეროვნული** ჩემპიონატის ერთ-ერთი მკვირცხლი გამთამაშებელი, ახლახან „სტუ-ჯეოსელში“ გაჩემპიონებული დავით ბერიშვილი გუნდს იცვლის. მან ორი დღის წინ გასული ჩემპიონატის ფინალისტ „ავიამშენთან“ გააფორმა კონტრაქტი და მომავალ სეზონში ეცდება, ამ გუნდსაც დაეხმაროს პირველობის მოპოვებაში.

ამ გუნდსაცო, იმიტომ ვამბობთ, რომ ბერიშვილმა შარშანწინ ბათუმის „ბასკოში“ იჩემპიონა, შემდეგ კი სტუ-ში გადავიდა და იქაც ოქროს მედალს შესწვდა, ახლა კი ამბობს, „ავიამშენის“ ჩემპიონობის დრო მოსულაო.

„სეზონის დასრულებასთან ერთად „სტუ-ჯეოსელის“ ყველა წევრს კონტრაქტები დაგვიმთავრდა. ცოტა ხნის წინ „ავიამშენის“ ხელმძღვანელობა დამიკავშირდა, სასურველი პირობები შემომთავაზა და მეც დაუფიქრებლად დავთანხმდი — ამბობს დავითი — საკმაოდ კმაყოფილი ვარ: ჯერ ერთი, რომ „ავიამშენი“ სერიოზული ამბიციის გუნდია და მეორეც, აქ ბრწყინვალე ატმოსფეროა. კარგი მწვრთნელები გვყავს ლევან მოსეშვილისა და ვაჟა მხეიძის სახით, პირობებიც დამაკმაყოფილებელია და მეც ჩემი მხრივ მაქსიმუმს გავიღებ გუნდის საკეთილდღეოდ“.

„ავიამშენი“ ჯერჯერობით ძველი შემადგენლობით ვარჯიშობს, თუმც მალე ამ გუნდში ცვლილებები მოხდება. ზოგი წავა, ვიღაც მოვა და, სავარაუდოდ, საჩემპიონო გუნდი აშენდება.

**ირაკლი პერტაია**

# რუსეთში აზერბაიჯანის გავლით

## ბაბიაშვილი ისევ გალელია

დიდი შანსია, ეროვნული ნაკრების ყოფილმა ნევრმა ზვიად ბაბიაშვილმა მომავალ სეზონში რუსეთის, ანაც უკრაინის ჩემპიონატში ითამაშოს. ნუ გაგიკვირდებათ და, ბაბიაშვილი ამ ქვეყნის გუნდებში სათამაშოდ არ მიდის — ის კვლავ ბაქოს „გალაში“ აპირებს დარჩენას, ოღონდ... საქმე ისაა, რომ „გალას“ თავკაც რიმას კურტინაიტისს უთქვამს, აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაშს რა აზრი აქვს, აქ ვერანაირ ხეირს ვერ ვნახავთო და ხსენებული პოსტსაბჭოური ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატში აპირებს გამოსვლას. საამისოდ ბაქოში უკვე იმყოფებოდა მოსკოვის ცსკა-ს პრეზიდენტი, რუსული კალათბურთის არაოფიციალური მმართველი ალექსანდრე გომელსკი. ეს ყველაფერი ბაბიაშვილმა გვამცნო, როცა მისი სამომავლო გეგმების გასაგებად დავუკავშირდით...





ზვიად ბაბიაშვილი ბაქოსკენ იყურება

— კარიერას ალბათ ისევ „გალაში“ გააგრძელებ — გვეუბნება ზვიად ბაბიაშვილი — ამ გუნდთან წინასწარი შეთანხმება მაკავშირებს — რიმას კურტინაიტისს უნდა, რომ „გალაში“ ვითამაშო.

**— რა სახის შეთანხმებაა, კონტრაქტს ხომ არ გთავაზობენ?**

— რომ მოვდიოდი, კურტინაიტისს შევხვდი და მან მითხრა, თუ უკეთესი ვარიანტი არ გამოგიჩნდა, შეგიძლია, კვლავ ჩვენთან ითამაშოო. მე მას მაშინვე თანხმობა მივეცი, „გალაში“ მინდა თამაში და სეზონისწინა შეკრებაზე ჩამოვალ-მეთქი.

**— როდის იწყება შეკრება და შენ რას აპირებ?**

— შეკრება 10 ივლისს იწყება, ახლახან კი ბაქოდან შემომითვალეს, დაგვირეკეო. ამ დღეებში შევცოდინება, ბაქოში როდის წავალ, ჯერ კიდევ რაღაცაა გასარკვევი.

**— რას ელოდები?**

— არ იყო გადაწყვეტილი, „გალას“ კვლავ კურტინაიტისი უხელმძღვანელებდა თუ სხვა, თუმც მგონი ეს საკითხიც დადებითად გადაწყდა. ორიოდ დღის წინ ბაქოში კურტინაიტისთან ერთად მოსკოვის ცსკა-ს პრეზიდენტი ალექსანდრ გომელსკიც ჩავიდა და „გალას“ ხელმძღვანელობას შეხვდა.

**— გომელსკი რატომ ჩავიდა?**

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ სავარაუდოდ „გალას“ რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებით. „გალას“ უნდა რუსეთის ან უკრაინის პირველობაში ითამაშოს.

**— მერე ეგ დასაშვებია?**

— ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ წინა სეზონში დაიწყო და, როგორც ჩანს, ყველაფერი „გალას“ სასარგებლოდ გადაწყდა. რუსეთის კალათბურთის ფედერაცია აქამდეც თანახმა იყო, მაგრამ „გალა“ რუსეთის სუპერლიგის უკონკურსო მონაწილე იქნებოდა. ეს საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და, როგორც შევიტყვე, „გალას“ ხელმძღვანელობა დათანხმდა საჭირო ფინანსების გაღებას. ერთი სიტყვით, „გალა“ მომავალ სეზონში სავარაუდოდ რუსეთის ჩემპიონატში ითამაშებს.

**— რუსეთის ჩემპიონატში საკმაოდ მაღალი დონეა...**

— „გალა“ არც ბოლო სეზონში იყო ურიგო გუნდი, ფიბა-ევროპის თასზე საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა. ახალი სეზონიდან კურტინაიტისი უფრო გააძლიერებს გუნდს. სავარაუდოდ 2 ამერიკელი, 2 ლიტველი და 2 ქართველი ეყოლება „გალას“. დანარჩენები აზერბაიჯანის საუკეთესო მოთამაშეები იქნებიან.

**— ერთი გასაგებია შენ ხარ, მეორე ქართველი ვინ იქნება?**

— კურტინაიტისს დავით ბარბაქაძე მოსდის თვალში და, როგორც უთხრა, „გალაში“ მიჰყავს. ვნახოთ, ივლისის დასაწყისში ყველაფერი გაირკვევა.

**ირაკლი პერტაია**

## ჭადრაკი

# ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

### IX ტური

| | | |
|---|---|---|
| სერგეი მოვსესიანი (სლოვაკეთი) | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |
| სერგეი აზაროვი (ბულგარეთი) | 1:0 | ბადურ ჯობავა (საქართველო) |
| ზვიად იზორია (საქართველო) | 1:0 | ანტე ბრკიჩი (ხორვატია) |
| ლაურენტ ფრესინეტი (საფრანგეთი) | 0,5:0,5 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) |
| მიხაილ როიზი (ისრაელი) | 1:0 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) |
| სერგეი ფიოდორჩუკი (უკრაინა) | 0:1 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) |
| ლეონიდ კრიტცი (გერმანია) | 0,5:0,5 | დავით მალალაშვილი (საქართველო) |

# ჩემპიონატი მშვიდად სრულდება

**ჩემპიონატის** დასრულებამდე ორი ტურით ადრე ცხრილს ერთობაშად 8-8 ქულით შვიდი მოჭადრაკე ლიდერობს. მეთერთმეტე ტურში გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, უკრაინელმა სერგეი კარიაკინმა შავი ფიგურებით თანამემამულე პაველ ელიანოვთან წააგო და ექვსი მდევარი გვერდით მოისვა.

კიდევ უფრო გაირთულა მდგომარეობა ქართველთაგან საუკეთესოდ მოთამაშე ლევან ფანცულაიამ. ჩვენებურმა თბილისში დაბადებულ, ახლა კი სლოვაკეთის სახელით მოასპარეზე სერგეი მოვსესიანს გაუყო ქულა და სამი საფეხურით ქვემოთ ჩაინაცვლა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 8 ქულა |
| 2 | ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი) | 8 |
| 3 | ვადიმ მილოვი (შვეიცარია) | 8 |
| 4 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 8 |
| 5 | ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია) | 8 |
| 6 | პაველ ელიანოვი (უკრაინა) | 8 |
| 7 | კორენ ასრიანი (სომხეთი) | 8 |
| 20 | ლევან ფანცულაია (საქართველო) | 7 |
| 34 | ზვიად იზორია (საქართველო) | 7 |
| 79 | ბადურ ჯობავა (საქართველო) | 6 |
| 83 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 6 |
| 99 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 6 |
| 115 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 5,5 |
| 161 | დავით მალალაშვილი (საქართველო) | 5 |

## ოლიმპიზმი

# ვალერი შანცევი მოსკოვის შანსებზე

**მოსკოვის** ვიცე-მერი ვალერი შანცევი დარწმუნებულია, რომ რუსეთის დედაქალაქს რჩება შესანიშნავი შანსები, რათა ამ ქალაქმა მოიპოვოს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება. არადა, ივნისის დასაწყისში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ წინასწარ წარმოდგენილ მოხსენებაში მოსკოვის განაცხადი ნეგატიურადაა შეფასებული, რადგან ამ ქალაქის წარმომადგენლებმა მკაფიოდ ვერ წარმოაჩინეს თავიანთი წინადადებები.

მაგრამ შანცევი ამბობს, რომ ეს კრიტიკა ვერ ამსხვრევს რუსთა იმედებს და ივნისში გაკეთებული მოხსენება მეტყველებს იმაზე, რომ ხუთივე კანდიდატ ქალაქს თანაბარი შანსები აქვს.

„მე მჯერა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ“ — ამბობს შანცევი.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ფავორიტად მიჩნეულია პარიზი, რომელსაც შემდეგ მოჰყვება ლონდონი, მადრიდი და ნიუ იორკი. ბრიტანელი ბუქმეიკერები მოსკოვის შანსებს უკეთეს შემთხვევაში ერთი ორმოცდაათთან აფასებენ, მაგრამ შანცევს ეს სულაც არ აღელვებს. ჟურნალისტებთან ინტერვიუში იგი ამბობს, რომ პარიზი წინა ორ ანალოგიურ კონკურსშიც ფავორიტი იყო, მაგრამ ორივეჯერ პირველობა სხვებს დაუთმო: ჯერ ათენს, მერე პეკინს.

„ჩვენ ერთადერთნი ვართ, რომლებმაც ოლიმპიური თამაშების მთელი პროგრამა ერთ ქალაქში ჩავტიეთ. ისეთ რთულ ტურნირს, როგორიც ფეხბურთია, ჩვენი მეტოქეები სამ ქალაქში ატარებენ, რომლებიც ერთმანეთისგან 300-500 კილომეტრითაა დაშორებული — ამბობს შანცევი — ამას გარდა, მათთან აფროსნობაც ათასი კილომეტრითაა დაშორებული ოლიმპიურ დედაქალაქს, ჩვენ კი ყველა სპორტსმენს ერთ ოლიმპიურ სოფელში დავაბინავებთ. სოფელს ქალაქის ცენტრში ავაშენებთ და იგი ოლიმპიური პარკისა და სტადიონისგან სულ რაღაც ათი წუთის სავალზე იქნება დაშორებული“.

ვიცე-მერმა ნაკლებად პრაქტიკული, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტებიც მოიყვანა მოსკოვის სასარგებლოდ. მისი თქმით, 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლად მოსკოვის არჩევა დააჩქარებს რუსეთში დემოკრატიის განვითარებას.

„ჩვენ ეს ოლიმპიადა ისე გვჭირდება, როგორც არასოდეს გვინდა, რომ ჩვენ მთელმა მსოფლიომ შეგვიცნოს, როგორც ახალ რუსეთს, როგორც ახალ ქალაქს“ — თქვა შანცევმა.

შანცევმა სხვა არგუმენტებიც მოიშველია და აღნიშნა, მოსკოვის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ დაგეგმილი 37 ოლიმპიური ნაგებობიდან 23 უკვე ექსპლუატაციაშია, ხოლო დანარჩენის მშენებლობის დამთავრებას ოლიმპიადამდე 2 წლით ადრე დაასრულებენო. მისი აზრით მოსკოვის პლიუსია ისიც, რომ მას აქვს ყველაზე პატარა ბიუჯეტი თამაშებისთვის მოსამზადებლად და თავად ოლიმპიადის ჩასატარებლად — 1,84 მილიარდი დოლარი.

კითხვაზე, რა იქნება, თუ მოსკოვი ამ ბრძოლას ვერ მოიგებსო, შანცევმა უპასუხა, რომ ბრძოლა მომავალი ოლიმპიადისთვის გაგრძელდება, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მოსკოვი ახლა გაიმარჯვებსო.

**ავთანდილ ჭყოიძელი**




გიორგი მაჭავარიანი



თემურ ლომჯარია

# გუშინ პეკინის ოლიმპიადის მალე მოსვლა ვინატრეთ

**ვაკის** ძალოსნობის დარბაზში დასრულდა საქართველოს პირადი და გუნდური ჩემპიონატი. გუშინ შტანგა ოთხი უმძიმესი წონის სპორტსმენებმა ასწიეს. თუ წინა დღეებში გათამაშებული ოთხი ოქროს მედლიდან სამი ქუთაისელებმა წაიღეს, გადამწყვეტ დღეს მხოლოდ ერთი იკმარეს.

85 კილოგრამ წონით კატეგორიის ძალოსანთა შორის თემურ ლომჯარია ჯერ კიდევ შეჯიბრის დაწყებამდე მიიჩნეოდა ფავორიტად, მაგრამ ატაცი ისე ცუდად დაიწყო, კინაღამ ბრინჯაოც სანატრელი გაუხდა, მაშინ როცა თემური 145-კილოგრამიან შტანგას ეჭიდებოდა, მეორე — მესამეადგილოსანთა ვინაობა უკვე გარკვეული იყო. ლომჯარიამ მხოლოდ მესამე ცდაზე აიტაცა, მერე 190-კილოგრამიანიც აჰკრა და ორჭიდის ჯამში ვერცხლოსან ვაჟა ლონლაძეს 52,5 კილოგრამით აჯობა. მესამე ადგილზე 16 წლის ცხინვალელი ბოთას გაზაევი გავიდა.

ვანო გრიქუროვის მორიგ აღმოჩენას ბოთას გაზაევს კოჭებშივე ეტყობა, რომ წლების შემდეგ დიდ სიმძიმეებს ასწევს.

94 კილოგრამში ყველაზე ტიტულიანი მოქმედი ქართველი სპორტსმენის გიორგი ასანიძის და ქართული ძალოსნობის ახალი ვარსკვლავის არსენ კასაბიევის დაპირისპირებას ამაოდ ველოდით. გრიქუროვმა არსენი ერთი წონით მაღლა გამოცადა, მაგრამ არ გეგონოთ, ამის მთავარი მიზეზი ასანიძესთან პაექრობისგან თავის არიდება ყოფილიყოს.

გიორგიმ ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გვითხრა, ფორმაში არ ვარ, ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი მონაწილეობააო.

მართალია, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბოლო წლების საერთაშორისო ტურნირებთან შედარებით მსუბუქი შტანგები შეუკვეთა, მაგრამ გულშემატკივარი იმითაც გვარიანად ასიამოვნა, არც ერთი ცდა რომ არ გასცუდებია. ჯამში 327,5 კილოგრამი დაუგროვდა და მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ჩემპიონი 362,5 კილოგრამის ამწევი თემურ გოგია გახდა.

არსენ კასაბიევმა 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი ლამის ატაცშივე გაინაღდა. ამ დროისთვის უახლოეს მდევარს ირაკლი თურმანიძეს 17,5 კილოგრამით უსწრებდა. აკვრაში არსენმა ისეთი ამბები დაატრიალა, პეკინის ოლიმპიადის მალე მოსვლა ვინატრეთ. პირველსავე ცდაზე 200-კილოგრამიანი შტანგა ასწია, რითაც საქართველოს რეკორდი გაიმეორა, მეორე მისვლისთვის 210 შეუკვეთა და ისიც იოლად აჰკრა. 215-კილოგრამიანი ცდა გაუცუდდა, მაგრამ საქართველოს რეკორდი ორჭიდის ჯამშიც გააუმჯობესა.




ბოთას გაზაევი

რეკორდული აკვრა გვანახა მძიმეწონოსანმა გიორგი მაჭავარიანმაც. აქვე გეტყვით, რომ მისი ჩვეული წონა 105 კილოგრამია და +105-ში მხოლოდ საცდელად გამოვიდა. ჯამში მაჭავარიანმა 370 კილოგრამი დააგროვა. მეორე ადგილზე 285 კილოგრამით ტურნირის უმძიმესი ძალოსანი, ამავდროულად სუმოში ევროპის პრიზიორი, ორცენტნერიანი ავთანდილ ცერცვაძე გავიდა, ბრინჯაო კი ზვიად ციბაძეს ერგო (265 კგ).

რვავე წონითი კატეგორიის შედეგების დათვლის შემდეგ გუნდური პირველობა ქუთაისელებმა მოიპოვეს, მეორეზე აჭარის, ხოლო მესამეზე აფხაზეთის წარმომადგენლები გავიდნენ, საუკეთესო მწვრთნელად კი ავთანდილ [illegible] (აფხაზეთი) დაასახელეს.

ჩემპიონ-პრიზიორები ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა და სხვა სახელოვანმა სტუმრებმა დააჯილდოვეს

**ოთარ მაღლაკელიძე**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*




ბადრი პატარკაციშვილი, არსენ კასაბიევი და გიორგი ასანიძე

## ძალოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი

28-30 ივნისი

| | | |
|---|---|---|
| **56 კგ** | | |
| 1 ზვიად სამუკაშვილი (დედოფლისწყარო) | 243 კგ | (105,5-137,5) |
| 2 გურამ გოგრაჭაძე (ჩაქვი) | 180 კგ | (80-100) |
| 3 შალვა ლორთქიფანიძე (თბილისი) | 152 კგ | (67,5-85) |
| **62 კგ** | | |
| 1 პაატა მოდებაძე (ქუთაისი) | 247,5 კგ | (112,5-135) |
| 2 გოდერძი ზოიძე (ჩაქვი) | 200 კგ | (85-115) |
| 3 გიორგი სიდამონიძე (თბილისი) | 187,5 კგ | (80-107,5) |
| **69 კგ** | | |
| 1 გელა სიხარულიძე (ქუთაისი) | 288 კგ | (125-163) |
| 2 ზაზა აბულაძე (ჩაქვი) | 257 კგ | (120-137) |
| 3 ალეკო მამიაშვილი (წყალტუბო) | 252,5 კგ | (115-137,5) |
| **77 კგ** | | |
| 1 რაულ ცირეკიძე (ქუთაისი) | 287,5 კგ | (130-157,5) |
| 2 პაატა გეგეშიძე (ქუთაისი) | 285 კგ | (130-155) |
| 3 სულხან დუმბაძე (ჩაქვი) | 252,5 კგ | (112,5-140) |
| **85 კგ** | | |
| 1 თემურ ლომჯარია (ქუთაისი) | 335 კგ | (145-190) |
| 2 ვაჟა ლონლაძე (ქუთაისი) | 282,5 კგ | (132,5-150) |
| 3 ბოთას გაზაევი (ცხინვალი) | 277,5 კგ | (125-152,5) |
| **94 კგ** | | |
| 1 თემურ გოგია (აფხაზეთი) | 362,5 კგ | (165-197,5) |
| 2 გიორგი ასანიძე (საჩხერე) | 327,5 კგ | (150-177,5) |
| 3 ბადრი კუპრაძე (ქუთაისი) | 302,5 კგ | (137,5-165) |
| **105 კგ** | | |
| 1 არსენ კასაბიევი (ცხინვალი) | 372,5 კგ | (162-210) |
| 2 ირაკლი თურმანიძე (აჭარა) | 315 კგ | (145-170) |
| 3 გიორგი ბეჟიტაშვილი (აფხაზეთი) | 312,5 კგ | (142,5-170) |
| **+105 კგ** | | |
| 1 გიორგი მაჭავარიანი (აფხაზეთი) | 370 კგ | (172,5-197,5) |
| 2 ავთანდილ ცერცვაძე (თბილისი) | 285 კგ | (125-160) |
| 3 ზვიად ციბაძე (წყალტუბო) | 265 კგ | (120-145) |

## უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

# ან ვინუს უილიამსი, ან... ოღონდ შარაპოვა არა



**უიმბლდონის** ნახევარფინალები გუშინ უნდა ჩატარებულიყო, თუმცა საქმეში წვიმა ჩაერია და მხოლოდ ერთ წყვილს მისცა თამაშის დასრულების შესაძლებლობა.

ვინუს უილიამსმა, რომელსაც უიმბლდონი პირველად 2000 წელს მოუგია, სულ კი ამ ტურნირზე ორჯერ უპირველია, მოქმედი ჩემპიონი, რუსი მარია შარაპოვა წამოაქცია და ორ სეტში — 7:6, 6:1 მოუთავა საქმე.

მაშა უიმბლდონის მოქმედი ჩემპიონი კი გახლავთ, მაგრამ წლეულს ტიტულს რომ ველარ დაიცავს, უკვე ფაქტია. საკითხავი ისღა დარჩა, ვინ იპირველებს წლევანდელ გათამაშებაში. პრეტენდენტი სამია: ვინუს უილიამსი, რომელმაც უიმბლდონურ ფინალს კარიერაში მეხუთედ უწია, ტრადიციული საფრანგეთის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევარი ქალბატონი ამელი მორეზმო, თუ ამერიკელი ლინდსი დევენპორტი.

ამ ორი უკანასკნელის შეხლა წვიმამ ჩაშალა და ვინუსიც გადადებულ მატჩს დაელოდება, რათა საფინალო მეტოქე იგრგუნოს.

სავარაუდოა, რომ ვინც არ უნდა გავიდეს, მორეზმო — დევენპორტის წყვილიდან ფინალში, მოგების მეტი შანსი მაინც ამერიკელს ექნება. მეტად მარჯვედ იქნევს ამ უიმბლდონობაზე უილიამსი ჩოგანს და საეჭვოა დაღლილ მეტოქესთან ფინალი დათმოს.

**ლადო ფულუკიძე**

# ტოდ ვუდბრიჯი ნაუიმბლდონევს ჩამოკიდებს



**როგორც** რომ ამ დღეებში გაირკვა, განთქმული წყვილოსანი, ავსტრალიელი ტოდ ვუდბრიჯი თავის სვიანად ნაქნევ ჩოგანს ამ უიმბლდონობის შემდეგ დედაბოძზე ჩამოკიდებს.

17-წლიანი კარიერისას 83 საწყვილო ტიტულის მომხვეჭი ოზი — და, შეგახსენებთ, ეს ღია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლიდან დღემდე აბსოლუტური რეკორდი გახლავთ — ახლა უიმბლდონობაზე გამოდის და თვისტომ სამანტა სტოზერთან ერთად მეოთხედფინალშიც ითამაშებს.

83 ტიტული ვახსენეთ და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აქედან 61 ტოდმა თანამემამულე მარკ ვუდფორდთან ერთად მოიგო. ამ ამაგდარმა კაცმა კი ჩოგანი ხუთი წლის წინათ ჩამოიკიდა.

სხვაფრივი ვუდბრიჯი 34 წლისაა, ტიტულებთან ერთად ცხოვრებაში 10 მილიონ დოლარზე მეტი მოუნაგრავს და 1997 წელს კაცთა საერთეულო რეიტინგში მე-17 საფეხურზე მდგარა.

ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ ფიქრები უკვე ორი კვირაა, მაწუხებდაო — ამბობს ვუდბრიჯი — მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება იმან მიმალებინა, რომ აქ ძალიან უფერულად ვეთამაშობო.

ერთი სიტყვით — დიდი კორტის კიდევ ერთი ამაგდარი რაინდი წასვლას აპირებს და ჩვენც სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა მის გასაცოცხლებლად სტაქნების პირთამდე შევსება და ბარაქიანი სადღეგრძელოების შესმა.



# თვითდაჯერებულობის საზღაური

**ევროსერიის** ბოლო ორი ტურნირი შვიდკაცა რაგბიში ბათუმსა და ანდორაში 2-3 ივლისს გაიმართება. საქართველოს ნაკრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე შეძლებს გამოსვლას და ეს რომ ბათუმური ტურნირი იქნება, ადვილი მისახვედრია.

სანამ აჭარულზე ვიტყოდეთ, 25-26 ივნისს პოლონეთში ჩატარებულ შვიდკაცაზე მოგახსენებთ.

მალხაზ ჭეიშვილის ბიჭებმა ჯგუფში საკმაოდ კარგად იბურთავეს და ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს. პირველ თამაშში უკრაინის მეორე გუნდს გაუსწორდნენ ადვილად — 31:5, მეორე შეხვედრაში შედარებით დაძაბულ ბრძოლაში ლატვიელებს სძლიეს 19:10, ბოლოს კი მასპინძელ პოლონელებს 54:0 გადაურბინეს.

ეს იყო და ბორჯღალოსნებმა ალბათ იფიქრეს, კრაკოვში პირველობა არ აგვცდებაო და ზედმეტი თავდაჯერებულობა ძვირად დაუჯდათ. ნახევარფინალში უკრაინელებთან 5:7 დამარცხდნენ და მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლებაღა შერჩათ. აქ კი თავი აღარ შეგვირცხვენია და ლატვიელებს, რომელთაც პირველად ჯგუფში მოვუგეთ, მეორედაც არ დავანებეთ გამარჯვება და 12:5 ვძლიეთ.

ასე დავრჩით კრაკოვში ფინალს მიღმა, თუმცა შაბათ-კვირას გასამართ ბათუმის შვიდკაცაზე საეჭვოა, ასეთი რამ შეგვემთხვას. შინ თამაში სულ სხვა პასუხისმგებლობაა და იმედია, ჩვენებურები ყველა მეტოქეს სათანადოდ შეაფასებენ.

ახლა, მეტოქეებზეც ვთქვათ. აჭარის დედაქალაქს 8 ნაკრები ესტუმრება: მოლდოვა, ჰოლანდია, სომხეთი, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და ისრაელი. ტურნირში აჭარის გუნდიც ითამაშებს, რათა მონაწილეთა რაოდენობა 10 გახდეს და ორი ჯგუფი თანაბრად დაკომპლექტდეს.

**ლადო ფულუკიძე**

## ლომების ტურნე 2005



ბრაიან ოდრისკოლი ტრავმით გამოწვეულ დარდს უფლისწულ უილიამსთან სალმით იქარვებს

# ევროპელთა კარგი გასეირნება

**სერ** კლაივ ვუდვორდმა შაბათის ტესტმატჩისთვის „ლომების" შემადგენლობა დაასახელა და მოლოდინისამებრ საკმაოდ გადაახალისა გუნდი. პირველ მატჩში განცდილ მარცხს რამდენიმე წამყვანი მორაგბის, მათ შორის ბრაიან ოდრისკოლის ტრავმაც დაერთო და ცვლილებებიც მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით არ არის განპირობებული.

განაცხადის შედგენაში ბრიტანელ-ირლანდიელთა მწვრთნელს შაბათის პალმერსტონ ნორსში გამართული მატჩიც წაეხმარა. კარგი გასეირნება კი გამოუვიდათ ევროპელებს და ახალზელანდიურ ნაკრებთან წაგებული მატჩის შემდეგ „მანავატუზე" ისე იყარეს ჯავრი, რომ ამ უკანასკნელთ ყველაზე საშინელ კოშმარშიც არ მოელანდებოდათ.

მატჩის აღწერისგან თქვენის ნებართვით თავს შევიკავებთ და მხოლოდ იმას მოგახსენებთ, ვინ რამდენი ქულა მოუტანა თავიანთ გუნდებს. ამ მწირი ინფორმაციითაც ადვილად მიხვდებით, ვინ იყო მოედნის სრული ბატონ-პატრონი და როგორი ხასიათის იყო თამაში.

მაშ ასე, მასპინძლებმა 6 ქულა მოაქუჩეს, პარგრივზმა ორი საჯარიმო დარტყმა გამოიყენა. სტუმრებს საჯარიმო არ გაუტანიათ და პრინციპში ალბათ არც სჭირდებოდათ, რადგან რამდენჯერაც შეუტიეს, იმდენჯერ გაილელოვეს. ახლა თავად ლელოთა ავტორებზეც ვთქვათ. ხუთჯერ შეინ უილიამსმა იხეირა, ორ-ორჯერ რონან ოგარამ და მარკ ქუეტომ, მათ გარდა მეტოქის ჩათვლის მოედანს ქორიმ, მერფიმ, რობინსონმა, ჰოჯსონმა, სმიომა, ბეკმა და დარსიმ უწიეს. გარდასახვა შვიდჯერ ჰოჯსონმა შეასრულა ზუსტად, ოთხჯერ კი ოგარამ.

„ლომებმა" 109:6 მოიგეს და ზელანდიასთან მეორე ტესტ-მატჩის წინ კარგი განწყობა შეიქმნეს.

ახლა ისევ სატესტმატჩო შემადგენლობას დავუბრუნდეთ. პირველ რიგში 10-ნომრიანი მაისურის დაბრუნება მივულოცოთ ინგლისელ ჯონი უილკინსონს. სწორედ ამ ჩვეულ პოზიციაზე ითამაშებს ჯონიბოი ახალზელანდიელებთან. ცენტრში, 12 ნომერზე გევინ ჰენსონი იდგება. 11 ნომერს შეინ უილიამსი ჩაიბარებს, ჰუკეროპას სტივ ტომპსონი იკისრებს, 5 ნომერი კი დონჩა ოკალაჰანი იქნება. უკანახაზელთა ტრიო ასე გამოიყურება: 6 — სიმონ ისთერბი, 7 — ლიუის მუდი, 8 — რაიან ჯონსი.

მთლიანად შეცვლილია წინა ხაზი. შეინ ბირნი და მარტინ ქორი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებენ მატჩის ყურებას, ბენ ქეი და ნილ ბეკი კი საერთოდ ამოვარდნენ შემადგენლობიდან. მათ დაემატა რიჩარდ ჰილიც, რომელმაც ტრავმა მიიღო. ახალ სკიპერად გარეთ თომასი მოგვევლინება, რომელიც ნახევარდაცვაში გევინ ჰენსონს შეეწყვილდება. პოზიციები შეიცვალა ინგლისურმა წყვილმა. ჯოშ ლიუსი გაფულბეკდება, ჯეისონ რობინსონი კი ფრთაზე გადაინაცვლებს. უილკინსონის პარტნიორი 9 ნომრის ადგილზე დუეინ ფილი იქნება.

როგორც ჩანს, სერ ვუდვორდი მაინც არ ენდობა უფრო გამოცდილ ინგლისელს, 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონ მეტ დოუსონს, რომელიც სათადარიგოთა სკამზე 20-ნომრიანი მაისურით იჯდება.

2003 წელი ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ 10-ნომრიანი მაისურით ტესტ-მატჩის სასტარტო შემადგენლობაში ჯონი უილკინსონი პირველად მოგვევლინება.

ბოლოს სერ კლაივ ვუდვორდის სიტყვებს გთავაზობთ:

„არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ წინა ტესტმატჩი ერთი პიროვნების შეცდომების წყალობით წავაგეთ, თუმც რაც შაბათს მოხდა, დიდი იმედგაცრუება იყო და ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვერ გავექცევი. მოვიდა დრო, რაღაც-რაღაცეები შეიცვალოს — გპირდებით, რომ შაბათს ძალიან განსხვავებული თამაში იქნება".

**ლადო ფულუკიძე**

# ტაისონი ცხოვრების ფსკერს ვერ ეგუება



**გუშინ მაიკ ტაისონს დაბადების დღე ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელგანთქმულმა მოკრივემ თავისი სპორტული კარიერის დასასრულის შესახებ გვაუწყა, იგი შეიძლება კვლავ ვიხილოთ რინგზე. ეს შეიძლება მოხდეს ვეტერანთა ტურნირზე, სადაც მისი სავარაუდო მეტოქე ევენდერ ჰოლიფილდი, რიდიკ ბოუი ან ლარი ჰოლმსი იქნება.**

**ზუსტად** 39 წლის წინათ 1966 წლის 30 ივნისს ლორინ და ჯიმი კირიკპატრიკებს შეეძინათ ვაჟიშვილი, რომელსაც მაიკლ ჯერარდი დაანათლეს. მაშინ ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ყრმისგან მსოფლიოს ერთ-ერთი უგანთქმულესი მოკრივე გაიზრდებოდა.

ამ ბიჭმა გვარად ტაისონი დედამისის პირველი ქმრისგან მიიღო. მომავალი უდიდესი მოკრივე დედამისთან და უფროს და-ძმასთან (ოჯახი მამამ ჯერ კიდევ მაიკის დაბადებამდე მიატოვა) ერთად იზრდებოდა. ეს ოჯახი ნიუ იორკის ერთ-ერთ ყველაზე ბანდიტურ რაიონში ცხოვრობდა.

ბავშვობისას მაიკი ცოტა არ იყოს დაბეჩავებული იყო, მაგრამ 10 წლიდან მასში მკვეთრი ცვლილებები მოხდა. ტაისონი ბავშვობაში მტრედების მოშენებით იყო გატაცებული. ერთხელაც ერთმა უბნის ხულიგანმა ტაისონის თვალწინ მის საყვარელ მტრედს თავი მოაწყვიტა. ამან ტაისონი ლამის ჭკუიდან შეშალა და ის ბიჭი ერთი მაგრად მიბეგვა.

და სწორედ მაშინ დაიბადა პატარა მაიკში მომავალი დიდი მოკრივე. იმ ჩხუბის მერე ტაისონი ადგილობრივ ბიჭ-ბუჭებსა და მცირეწლოვან ხულიგნებში ძალზე ავტორიტეტული გახდა.

იმ ამბიდან რამდენიმე წლის მერე მაიკი პირველად დაფიქრდა მოკრივის კარიერაზე. ეს მას მერე მოხდა, რაც იგი უდიადეს მუჰამედ ალის შეხვდა, რომელიც დროდადრო ძნელად აღსაზრდელთა გამოსასწორებელ სახლებში მოზარდებს ხვდებოდა, იქ კი ტაისონისთვის შინაური კედლები იყო.

არასრულწლოვან დამნაშავეთა სკოლაში, სადაც ტაისონი მოხვდა, ფიზკულტურის მასწავლებელი ყოფილი მოკრივე ბობი სტიუარტი იყო. ერთხელაც მაიკი მასთან მივიდა და უთხრა, მოკრივედ გახდომა მინდაო. სტიუარტიც დაპირდა, გავარჯიშებს, მხოლოდ იმ პირობით, თუ დისციპლინას არ დაარღვევო.

იმის მერე ტაისონის ცხოვრების მთავარი მიზანი კრივი გახდა. როცა მაიკი თხუთმეტი წლისა შესრულდა სტიუარტი მიხვდა, რომ მას თავისი აღსაზრდელისთვის აღარაფრის სწავლება აღარ შეეძლო და იგი სახელოვან მწვრთნელს კას დამატოს მიაბარა და ტაისონის ნამდვილი საკრივო კარიერაც დაიწყო. თუმცა სამოყვარულო კრივში მაიკმა მაინცდამაინც დიდი მიღწევებით ვერ გამოიჩინა თავი.

1984 წელს იგი ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებშიც კი ვერ მოხვდა. ერთი წლის მერე ტაისონმა თავისი პირველი პროფესიონალური ბრძოლა გამართა და პირველსავე რაუნდში ჰექტორ მერსედესი ნოკაუტში გაისტუმრა. კიდევ ერთი წლის მერე, როცა ტაისონი 20 წლისა და 5 თვისა შეიქნა, მაიკი მსოფლიოს პროფესიონალურ კრივში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონად მოგვევლინა.

ორი წლის განმავლობაში ტაისონს მთელს დედამიწაზე ბადალი არ ჰყავდა, მერე კი მის ცხოვრებაში ცვლილებები მოხდა — მაიკმა დამწყებ მსახიობ რობინ გივენზე იქორწინა. ქორწინება ძალიან წარუმატებელი გამოდგა — ცოლი ხალხმრავალ ადგილებშიც არ ერიდებოდა თავისი ქმრის... ცემა-ტყეპვას. მაიკი კი ჯენტლმენობას ინარჩუნებდა და ბუნებრივია, ხურდას ვერ უბრუნებდა. ამ ცემა-ტყეპისა და გაუთავებელი აყალმაყალის მერე ტაისონმა ვარჯიშების გაცდენა დაიწყო. ბოლოს თავისი მწვრთნელებიც გაყარა და სახელგანთქმულ პრომოუტერ დონ კინგს ჩაბარდა.

1990 ტაისონმა ვერ შესძლო თავისი ტიტულის დაცვა და მეორე ეშელონის მოკრივე ჯეიმს დუგლასთან დამარცხდა.

1991 წელს მოხდა კიდევ ერთი ამბავი, რამაც ტაისონის ცხოვრება შეცვალა. „მის შავი ამერიკის" კონკურსის ერთ-ერთმა მონაწილემ, დეზირე ვაშინგტონმა ტაისონი გაუპატიურებაში დაადანაშაულა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მოწმე ამტკიცებდა, ვაშინგტონი სიამოვნებით ღებულობდა ტაისონისგან ალერსს და ეს ქალი მოკრივეს სასტუმროს ნომერში თავისი ნებით გაჰყვაო, სასამართლომ მაიკს მაინც ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, სანიმუშო ყოფაქცევის გამო ციხიდან სამი წლის მერე გამოვიდა.

სატუსაღოში კი მან ბევრი წიგნი წაიკითხა, ისლამი აღიარა და სისტემატურად ვარჯიშობდა. ციხიდან გამოსვლის მერე წელიწადზე მეტი დრო გავიდა და ტაისონმა ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა, მაგრამ ეს მისი ბოლო წარმატება აღმოჩნდა.

1996 წლის ნოემბერში ტაისონმა ევანდერ ჰოლიფილდის წინააღმდეგ ჩაატარა ბრძოლა და ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა. მომდევნო წლის ივნისში გაიმართა მატჩრევანში, რომელიც მას მერე დასრულდა, როცა ტაისონმა მეტოქეს ყურის ნაწილი მოაჭამა.

ამის მერე ტაისონი კვლავ გამოდიოდა რინგზე, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებებს ვეღარ აღწევდა. ექიმებმა დაადგინეს, რომ სახელგანთქმულ მოკრივეს ფსიქიკური აშლილობა აქვსო (მართლაც, განა ფსიქიკურად გაწონასწორებულ ადამიანს მოუვა აზრად მეტოქის ყურის მოჭრა?).

ამას წინათ წლის 11 ივნისს ტაისონი ნაკლებად ცნობილ ირლანდიელ კევინ მაკბრაიდთან ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა და ამის მერე თავისი კარიერის დასრულების თაობაზეც გვაუწყა.

გუშინ, მაიკ ტაისონის დაბადების დღეს გამოჩნდა ცნობა, რომ ეს მოკრივე, შესაძლოა, კვლავ ვიხილოთ რინგზე, ოღონდ ვეტერანების ბრძოლაში.

ტაისონის მწვრთნელი და მენეჯერი ჯეფ ფენეკი, რომელიც მაიკს ბოლო ბრძოლისთვის ამზადებდა, ამჟამად ვეტერანთა ტურნირის მოსამზადებლად ორგანიზაციული საქმეებითაა დაკავებული. ამ ტურნირში მონაწილეობით ტაისონს შეუძლია თავისი მატერიალური მდგომარეობის გამოსწორება და თავისი საკრივო კარიერის ასე თუ ისე მაჟორული ნოტებით დასრულება.

ფენეკის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ პროფესიული კრივის ვეტერანებმა ბრძოლათა სერია შემცირებული რაუნდებით გამართონ.

როგორც ALLBOXING იუწყება. ფენეკის თქმით მან უკვე მოახერხა თავისი იდეით ამერიკისა და გაერთიანებული არაბეთის ემირატების პრომოუტერთა დაინტერესება.

„მაიკს არ უნდა, რომ თავისი კარიერა მაკბრაიდთან დამარცხებით დაასრულოს — ამბობს ფენეკი — მაიკი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესთაგანი მძიმეწონოსანი ჩემპიონია მთელი ისტორიის განმავლობაში და პირველი ოთხი რაუნდის განმავლობაში იგი ძველებურად ძალზე სახიფათო გახლავთ. მას არ უნდა ათრაუნდიან ბრძოლებში მონაწილეობა, რადგან უმაღლეს დონეზე ოცწლიანი გამოსვლების შემდეგ ძნელია საკუთარი თავი სპორტდარბაზში დაძაბული ვარჯიშების ჩასატარებლად აიძულო.

მიუხედავა იმისა, რომ ტაისონი ხშირად არანორმალურად იქცევა, ძნელია, რომ მისი პერსონა გარკვეულ პატივისცემას არ იმსახურებდეს. მიუხედავად იმისა, რომ ტაისონის ფორმირება რთულ გარემოსა და ვითარებაში ხდებოდა, მან შეძლო თავისი ნიჭის წყალობით ცხოვრების ფსკერიდან დაეღწია და პატივცემულ ადამიანად ჩამოყალიბება, რომელმაც საკუთარი თავი სამუდამოდ ჩაწერა მსოფლიოს საკრივო ისტორიაში.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ოსკარ დე ლა ჰოია

# ოსკარ დე ლა ჰოია შვებულებაში გავიდა

**მსოფლიოს** ექსჩემპიონმა ექვს წონით კატეგორიაში, ოსკარ დე ლა ჰოიამ მაიამიში გამართულ პრესკონფერენციაზე თავის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მოკრივემ დაადასტურა, რომ წლეულს რინგზე არ გავა და მთელ დროს თავის ფეხმძიმე ცოლს დაუთმობს, რომელიც სულ მალე პირველ ბავშვს აჩუქებს. გაისად დე ლა ჰოია ორი ბრძოლის გამართვას აპირებს, მაისში და სექტემბერში. ოქროს ბიჭუნას მეტოქეები არ დაუსახელებია, თუმც იმ სამი მოკრივის ვინაობა გაამხილა, რომლებთანაც ისურვებდა შეხვედრას: რონალდ რაიტი, ფელიქს ტრინიდადი და ფერნანდო ვარგასი.

„ერთწლიანი შესვენების შემდეგ ჯობს, დე ლა ჰოია ფერნანდო ვარგასს შეერკინოს, რომელიც რამდენიმე წლის წინ უკვე დაამარცხა" — განაცხადა მოკრივის პრომოუტერმა რიჩარდ შეფერმა.

**ლაშა გეგეჭკორი**

# მეივეზერმა მსოფლიოს კრივი აჩვენა

**WBA-ს** ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა პირველ ქვესაშუალო წონაში ფლოიდ მეივეზერ-უმცროსმა ამ კვირას ვარჯიში განაახლა. მოკრივეს სურს, რომ მომავალი ბრძოლა აგვისტოში ან სექტემბერში გაიმართოს, თუმც მანამდე ბევრი საკითხის მოგვარება მოუწევს. მეივეზერს HBO-სთან კონტრაქტი უკვე ამოეწურა და ამიერიდან რინგზე თუ იკრივებს, ეს მხოლოდ შოუ იქნება.

ფლოიდ მეივეზერი თვლის, რომ თავის წონით კატეგორიაში ნამდვილი ჩემპიონია, მიუხედავად იმისა, რომ ქამარი რიკი ჰატონს ეკუთვნის.

„უბრალოდ, ჩვენი ბრძოლები შეადარეთ — განაცხადა მეივეზერმა — ნახეთ, ჯერ ჰატონის ძიუსთან მოგება, მერე ჩემი და დასკვნებიც შემდეგ გამოიტანეთ. მე ვაჩვენე, რომ სპორტის ეს სახეობა კრივია და არა ჩხუბი."

**ლაშა გეგეჭკორი**

# ჰარისი იდიოტი ყოფილა

**IBF-ის ვერსიით** მსოფლიოს ჩემპიონი პირველ ქვესაშუალო წონაში, რიკი ჰატონი შესაძლოა, WBA-ს ახალ ჩემპიონ კარლოს მაუსას შეერკინოს. ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად არ არის დადასტურებული, თუმც ჰატონის პრომოუტერ ფრენკ უორენს დიდი იმედი აქვს, რომ ეს ბრძოლა გაიმართება.

„სჯობს მაუსი ჰატონს შეებრძოლოს, ვიდრე მატჩ-რევანში გამართოს ვივიან ჰარისთან, რომელიც წინა კვირას დაამარცხა. ეს საშინელი სანახაობა იყო, თითქოს რინგზე ორი დილეტანტი ყოფილიყოს. არა მგონია, ამ ბრძოლის ხილვა მეორედ კიდევ ვინმეს მოუნდეს" — თქვა უორენმა და ძველი დრო გაიხსენა, როცა ჰარისმა მის კლიენტთან ბრძოლაზე უარი განაცხადა — ჰარისს იმ დროს რა თანხაც შევთავაზე, უნდა აეღო, მაგრამ უარი მითხრა და ახლა მხოლოდ გროშებზე მოუწევს ბრძოლა. ვიცოდი, რომ იგი იდიოტი იყო."

**ლაშა გეგეჭკორი**

# დასხდნენ და მოილაპარაკეს

**ცნობილი** ფილიპინელი მოკრივე მენნი პაკიაო თავის პრომოუტერ მურად მოჰამედს მშვიდობიანად დაშორდა.

შეგახსენებთ, რომ მათ ერთმანეთის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი ჰქონდათ შეტანილი. პაკიაო პრომოუტერს ტელეტრანსლაციების დაუკითხავად გაყიდვაში სდებდა ბრალს, მოჰამედი კი კლიენტს კონტრაქტის დარღვევაში ადანაშაულებდა. თუმც საქმე სასამართლომდე აღარ მისულა. მომჩივანმა მხარეებმა მოილაპარაკეს და სარჩელიც გამოიტანეს. ამიერიდან მოჰამედი პაკიაოს პრომოუტერი აღარ იქნება და მის სასამართლო ხარჯებსაც თვითონ დაფარავს.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ბრაზილიელები

ფრანკფურტის სტადიონზე ბრაზილიელი გოგოები ლაღობენ. თავად არგენტინელთა ძლევას გაუხარებია, ხალხს კი მადისაღმძვრელი მკერდით უხარებენ.





AFP ფრანკფურტიდან

# ნახევრად ფინალში

ეს გოგოები უიმბლდონზე ნახევარფინალისთვის ემზადებიან. ბეკ კარტრაიტს იქ გულისსწორი ლეიტონ ჰიუიტი ეგულება, მარია შარაპოვა კი თავად გაეჯიბრება ვინუს უილიამსს, სავარჯიშოდ კი, ცოტა არ იყოს, დიდი ზომის ბურთი აურჩევია.





AFP ლონდონიდან



AFP

# ქალური ილეთი

თავდაყირა გოგო ფრანგი ლუსი დეკოსი გახლავთ, თავაღმა კი ესპანელი სარა ალვარესია. ორთავეს ხმელთაშუაზღვის თამაშებზე ჩემპიონობა სურს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ახალაძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თამარ მელიქიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კობალაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გიზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია პესელია, ნათია ბუხუხიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლეკალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოცხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge